შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: სასჯელის მიზნები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატი: სოფიკო გეჯაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი
გია მეფარიშვილი

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია----------3
Annotation----------4
შესავალი----------5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა----------8
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი----------11
2.1.სასჯელის როგორც სახელმწიფო იძულების ღონისძიების, განვითარების ისტორიული ასპექტები საქართველოში და საზღვარგარეთ
2.1.1.სასჯელის სისტემა და სახეები----------
2.1.2.სასჯელის შესახებ თეორიები----------
2.1.3.სასჯელის ცნება და ნიშნები----------
2.2.სასჯელის მიზნები----------
2.2.1.სამართლიანობის აღდგენა----------
2.2.2.დამნაშავის რესოციალიზაცია----------
2.2.3.ახალი დანაშაულის თავიდან აცილება----------
თავი III.კვლევის შედეგები----------
დასკვნა----------
გამოყენებული ლიტერატურა----------

ანოტაცია

სადიპლომო ნაშრომი შეეხება სასჯელის მიზნებს, მის დამახასიათებელ ნიშნებს და ისტორიულ მიმოხილვას .განხილულია სასჯელის თითოეული მიზანი და გამოკვეთილია პრობლემები, მასში საუბარია ზოგადად სამართლიანობის აღდგენაზე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამაშავის რესოციალიზაციაზე.ნაშრომი შეიცავს შესავალს, ძირითად ნაწილს, რომელიც შედგება 3 თავისა და 8 ქვეთავისაგან, ხოლო ბოლოში წარმოდგენილია დასკვნა და ერთვის გამოყენებული ლიტერატურა.

Annotation

The diploma work deals with the aim of the sentence,its characteristics and its historical review.Each goal of the punishment is discussed and the problems are revealed.In the topic I speak about restoring justice,preventing new crime and resocializing the offender.

The work contains the introduction, the main part consists of 3 chapters and 8 subdivisions, and the bottom includes the conclusion and the of the literature used.

შესავალი

თემის აქტუალურობა.სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება სასჯელის მიზნებს.ეს თემა, პირველ რიგში იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ დანაშაული წარმოუდგენელია სასჯელის გარეშე.XXI საუკუნეში სასჯელს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არასწორად შერჩეულმა სასჯელმა შეიძლება ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანოს.წარმოუდგენელია დანაშაული და ზოგადად სისხლის სამართალი სასჯელის გარეშე.სასჯელი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან მოდის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იცვლებოდა მისი მიზნები და ვითარდებოდა.დასჯა ყოველთვის თან სდევს დანაშაულს და სანამ დანაშაული იარსებებს, იარსებებს სასჯელიც.

აღსანიშნავია,ის ფაქტი,რომ სასჯელის ცნების საკანონმდებლო დეფინიცია არ არსებობს,შესაბამისად იგი იურიდიული დოქტრინის განხილვის საგანია.ამიტომაც ლოგიკურია,რომ მეცნიერებაში მისი ერთგვაროვანი დეფინიცია არ არსებობს.

სწორედ სასჯელის მიზნის მეშვეობით შეგვიძლია ჩვენ შემდგომში ახალი დანაშაულის თავიდან აცილება,სამართლიანობის აღდგენა და რესოციალიზაცია.

კვლევის მიზნები. განხილული თემის მიზანს წარმოადგენს:სასჯელის მიზნებთან დაკავშირებული ნორმატიული მასალის,ქართველი და უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო ნაშრომების,კვლევა და ანალიზი.იმისათვის,რომ გავაანალიზოთ რამდენად სწორად ხდება სასჯელის მიზნების გამოყენება,ნაშრომში განხილულია ცალკეული პრობლემები და წინააღმდეგობები.
კვლევის ამოცანები.დასახული მიზნების მიღწევისათვის შევეცადე გადამეწყვიტა შემდეგი ამოცანები.

შეგვესწავლა და წარმოგვეჩინა სასჯელის მიზნების ისტორიული ასპექტები;

გვესაუბრა სასჯელის სისტემასა და სახეებზე;

ჩამოგვეყალიბებინა სასჯელის შესახებ თეორიები;

ჩამოგვეყალიბებინა სასჯელის ცნება და მისი ნიშნები;

აღმოგვეჩინა სასჯელის მიზნები და გვესაუბრაბ მათზე ცალ-ცალკე.

კვლევის მეთოდები.კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა ისროეიული კვლევის მეთოდი,ანალიზის და სინთეზის ლოგიკური მეთოდები,საკანონმდებლო ნორმების შედარებითი კვლევის მეთოდი.ნაშრომზე მუშაობისას შესწავლილ და დამუშავებულ იქნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები და საკანონმდებლო ბაზა.

თავი I.ლიტერატურის მიმოხილვა

სისხლის სამართალწარმოებაში მნისვნელოვანი ადგილი უჭირავს სასჯელს.სწორედ სასჯელი გახლავთ ჩემს მიერ განსახილველი თემა.სასჯელი პირდაპირ ნიშნავს ვიღაცის უფლების შეზღუდვას შესაბამისად პირველ რიგში გავეცანი საქართველოს კონსტიტუციას.როდესაც ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს ეხება საქმე იქ კონსტიტუცია უპირველესია.

შემდგომში განვიხილე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სადაც კიდევ უფრო სიღრმისეულად აღვიქვი ჩემს მიერ განსახილველი თემა.

მას შემდგომ,რაც ქართულ კანონმდებლობას გავეცანი და გამიჩნდა კითხვები შევეცადე პასუხებ მომეძებნა სამეცნიერო კვლევებში.გავეცანი იოსებ ვარძელაშვილის ,,სასჯელის მიზნებს“სადისერტაციო ნაშრომს,მოვინიშნე ჩემთვის გამოსადგომი ინფორმაცია ეს ნაშრომი საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის ვინაიდან საკმაოდ ბევრი ინფორმაცი დამხვდა და ერთი ნაშრომის წაკითხვით საკმაოდ ბევრი მეცნიერის აზრი გავიგე.

ამის შემდგომ წავიკითხე ი.დვალიძე, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგი 2013 წლის.ამ წიგნშიც საკმაოდ ბევრი საინტერესო ინფორმაცია მომცა და საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა.ამ წიგნში იყო ჩამოყალიბებული ჩემს მიერ გამოსაკვლევი თემა.

რა თქმა უნდა გავეცანი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის, 2007, 2011, 2013, 2016 წლის გამოშვებას, წავიკითხე თითოეული და მივიღე ბევრი საჭირო ინფორმაცია, რაც დამეხმარა ნაშრომის დაწერაში.

კვლევის პროცესში აგრეთვე, გამოვიყენე გ.ნაჭყებიას, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011 წლის.აგრეთვე საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოდგა ჩემთვის ალ.ვაჩეიშვილის სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია, როგორც ადგილობრივი ისე უცხოური ლიტერატურა, რომლებიც ძალიან დამეხმარა ერთიანი კონკრეტული აზრის ჩამოყალიბებაში.

თავი 1. სასჯელის, როგორც სახელმწიფო იძულების ღონისძიების, განვითარების ისტორიული ასპექტები საქართველოში და საზღვარგარეთ.

სასჯელი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა.უშუალოდ სასჯელის შინაარსს სხვდასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ.ძველად სასჯელი(საშჯელი, სარჩელი, სარჯელი) ნიშნავდა ტანჯვას,სატანჯველს,განაჩენს, დასჯას, სამართალს, მსჯავრს. სასჯელი ზოგჯერ სამართალსაც ნიშნავდა.მე-X-XII საუკუნეებში სასჯელი,საშჯელი ნიშნავდა სამსჯავროს,განკითხვას,გასამართლებას.[1]

რაც შეეხება სასჯელის განვითარებას საქართველოში აღნიშნული საკითხის გასარკვევად აუცილებელია განვიხილოთ ორი ეტაპი: ა) როგორია სასჯელი უძველესი პერიოდიდან მონღოლთა შემოსევამდე, ბ)როგორია აღნიშნული ინსტიტუტი შემდგომ პერიოდში.

[1] იხ ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნები,თბილისი 2016,გვ.19.

„ X საუკუნემდე საერო ხასიათის საკანონმდებლო ძეგლები ჩვენამდე შემორჩენილი არ არის აქედან გამომდინარე აუცილებელი ხდება სხვა სახის ძეგლების მოშველიება და ამ გზით სასჯელის მიზნებისა და დანიშნულების გარკვევა.“[2]

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართულ სამართალში ექვთიმე მთაწმინდელს.ექვთიმე მთაწმინდელის მიერ გადმოქართულებული იოვანე მმარხველის ნომოკანონში „კანონი შეცოდებულთანი“მოცემულია ცნობები სასჯელის სახეებზე,მათ წარმოშობა განვითარების შესახებ ,ხოლო შემდგომ ქრისტიანულ ეკლესისთან არის შეპირისპირებული ვინაიდან აქ მოხსენიებულია,რომ სასჯელის წარმოშობა,არსი განიხილება როგორც ღმერთის ნება.სწორედ აქ ჩამოყალიბებული თვალსაზრისის მიხედვით,ღმერთს სურს არა ადამიანის ტანჯვა ან სიკვდილი, არამედ მისი გამოსწორება. ამ პერიოდისათვის არსებობდა დამნაშავის დასჯის ოთხი მიზანი სასჯელის დანიშნულებისას: 1) დამნაშავის დასჯის დროს სასჯელის მიზანს წარმოადგენდა მისი ზნეობრივი გამოსწორება.სასჯელის დანიშვნის ეს პოლიტიკა შეთვისებული ჰქონდთ როგორც სასულიერო ისე საერო სამართალსაც. ამის ნათელი მაგალითია დავით აღმაშენებლის მიდგომა ლიპარიტ ამირასადმი,ისტორიკოსის მითითებით ღალატის განზრახვისათვის მეფემ ლიპარიტის გამოსწორება მოინდომა და რამდენიმე ხნით დააპატიმრა იგი ფიქრობდა,რომ ეს დრო საკმარისი იქნებოდა მისი გამოსწორებისათვის ამის შემდგომ კი მეფეს ლიპარიტისათვის უწინდელი თანამდებობაც მიუცია,რითიც იგი მისადმი მიტევებას დანაშაულის დავიწყებას და კეთილგანწყობას ამტკიცებდა.2)სასჯელის მეორე მიზანს წარმოადგენდა დამნაშავე პირთა მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება.ამ სასჯელის არსი მდგომარეობდა იმაში,რომ ამ მეთოდით დასჯილიყვნენ ის ბოროტმოქმედები რომელთა გამოსწორებაც ჰუმანური წვრთნით და მეთოდებით არ იქნებოდა შესაძლებელი. 3)სასჯელის მესამე მიზანი გამოიყენებოდა იმ პირების მიმართ რომელთა გამოსწორებაც არც ჰუმანური მეთოდებით და არც ხორციელი სატანჯველი მეთოდებით არ ხდებოდა ეს სასჯელი გახლდათ ექსორია და გაძევება.აღნიშნული სასჯელის მიზანი გახლდათ

[2] ვ.მეტრეველი,საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია,თბილისი 2003 , გვ.246

საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა.4)სასჯელის მეოთხე მიზანი უკვე გულისხმობდა კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვას.[3]

განვიხილოთ სასჯელთა სახეები გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მონღოლთა შემოსევამდე.ეს სასჯელები გახლავთ შემდეგი:

„1)სიკვდილით დასჯა;

2)სხეულის დამასახიჩრებელი სასჯელები;

3)ექსორია და გაძევება;

4)თავისუფლების აღკვეთა;

5)მტკივნეული სასჯელები;

6)ქონების კონფისკაცია;

7)მოქალაქეობრივი უფლებების დროებითი და სამუდამოდ ჩამორთმევა;

8)ქონებრივი საზღაური სახელმწიფოს,ფეოდალის ან სასამართლოს სასარგებლოდ;

9)დაკრულვა და სხვა საეკლესიო სასჯელები.“[4]

როგორც უკვე აღვნიშნეთ სასჯელთა ინსტიტუტი იყოფა ორ ეტაპად მონღოლთა შემოსევამდე რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ და მის შემდგომ.ახლა განვიხილოთ ცალკეული სასჯელები თუ როგორი იყო მონღოლთა შემოსევის შემდეგომ პერიოდში საქართველოში.1)სიკვდილით დასჯა.ძველი ქართული სამართალი სიკვდილის დასჯის ორ სახეს სცნობდა ეს იყო თავის მოკვეთა და ჩამოხრჩობა.ძველ ქართულ სისხლის სამართალში არ გვხვდება სიკვდილით დასჯის ისეთი სასტიკი მეთოდები ,როგორიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა მეზობელ ქრისტიანულ და მუსულმანურ სახელმწიფოებში.2)არსებობდა ასევე ტკივილის მიმყენებელი სასჯელები(ცემა).ასეთი სასჯელი ძალზედ ცოტა იყო და ძირითადად არ იყენებდა ქართული სამართალი სხვა ქვეყნების სამართლისგან განსხვავებით.3)თავისუფლების აღკვეთა.აღნიშნული სასჯელიც მკრთალად არის წარმოდგენილი ქართულ სისხლის სამართალში.4)გამაწბილებელი სასჯელები.ასეთი სასჯელები იყო როგორც ძირითად ასევე დამატებით

[3] ვ.მეტრეველი.საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია,თბილისი 2003.გვ 246 ,247, 248.

[4] ვ.მეტრეველი.საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია,თბილისი 2003.გვ 253.

სასჯელედ.5)ქონებრივი სასჯელები.ასეთი იყო ჯარიმა და კონფისკაცია,აგრეთვე იყო საეკლესიო ხასიათის სასჯელები დაკრულვა და შეჩვენება.შეჩვენება საკმაოდ მძიმე სასჯელი იყო და იმ ადამიანს ვისაც ეს სასჯელი შეეფარდებოდა მას არ ჰქონდა უფლება ზიარების ქორწინებისა და გვირგვინით კურთხევის, ხოლო გარდაცვალების შემდგომ ქრისტიანული წესით არ უგებდნენ ანდერძს და არც მარხავდნენ.[5]ეს რაც შეეხებოდა სასჯელის,როგორც სახელმწიფო იძულების ღონისძიების,განვითარების ისტორიულ ასპექტებს საქართველოში და საზღვარგარეთ.

2.1.1 სასჯელთა სისტემა და სახეები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გვაქვს სასჯელთა შემდეგი სახეები:

1.ა)ჯარიმა;

ბ)თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ)საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

დ)გამასწორებელი სამუშაო;

ე)სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;

ვ1)შინაპატიმრობა;

ზ)ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;

თ)უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ი)ქონების ჩამორთმევა;

კ)იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა;

2.იურიდიული პირის სასჯელის სახეები განისაზღვრება ამავე კოდექსის შესაბამისი ნორმებით.[6]

აღნიშნული სასჯელები ქმნიან ძირითად და დამატებით სასჯელთა სისტემას.მოცემული სასჯელის სახეებიდან ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთა,გამასწორებელი სამუშაო,სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა,თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ

[5] ვ.მეტრეველი.საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია,თბილისი 2003 გვ262,263,264.
[6] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი40.

ძირითადი სასჯელებია.ქონების ჩამორთმევა არის ის ერთადერთი სასჯელის სახე, რომელიც შეიძლება რომ მხოლოდ დამატებით სასჯელად დაინიშნოს.ხოლო რაც შეეხება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას,ჯარიმას და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ისინი შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად,ისე დამატებით სასჯელად.სასჯელები შეიძლება დაიყოს საერთო და სპეციალურ სასჯელებად.საერთო სასჯელები გამოიყენება დანაშაულის ჩამდენი ნებისმიერი პირის მიმართ,ხოლო სპეციალური სასჯელები გამოიყენება მხოლოდ მსჯავრდებულთა განსაზღვრული კატეგორიის მიმართ.[7]

ასევე შესაძლებელია სასჯელები დაიყოს ფორმისა და შინაარსის მიხედვით ორ ჯგუფად.ა)სასჯელები რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან (მაგ:ვადიანი ან უვადო თავისუფლების აღკვეთა,რაც დაკავშირებულია პატიმრობასთან); ბ)გახლავთ სასჯელები რომლებიც არ უკავშირდება თავისუფლების აღკვეთას.ეს სასჯელები ფაქტობრივად წარმოადგენენ საპატიმრო სასჯელების ალტერნატივას და ამის გამო ამგვარი სახელწოდებაც აქვს ალტერნატიული სასჯელები.(მაგ:ჯარიმა,გამასწორებელი სამუშაო,საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა)[8].

განვიხილოთ თითოეული სასჯელის სახე. ჯარიმა,როგორც სისხლისსამართლებრივი საჯელის ერთ-ერთი სახე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გამოიყენება.აღნიშნული სასჯელი ითვლება, რომ სხვა სასჯელებთან შედარებით საკმაოდ ეფექტურია.პირველ რიგში იმიტომ, რომ არ ხდება მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან მოწყვეტა,როდესაც ის ინიშნება ძირითდ სასჯელად ან ინიშნება დამატებით სასჯელად ისეთ სასჯელთან ერთდ,რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან ან შეზღუდვასთან არანაირ კავშირშია.გარდა ამისა არ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მსჯავრდებულის შენახვის

[7] ავტორთა კოლექტივი,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,მეორე გამოცემა,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2016.

[8] ავტორთა კოლექტივი,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,მეორე გამოცემა,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2016.

ხარჯები.ჯარიმა გარკვეული დოზით ფინანსურად ასუსტებს მსჯავრდებულს რაც პრევენციულად მოქმედებს მასზე[9].

ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონის განსაზღვრულობის საკითხს,რაც ნიშნავს იმას რომ ადამიანს სასჯელის წინასწარ განჭვრეტა უნდა შეეძლოს, შსაბამისად ჯარიმა წარმოადგენს ისეთი სასჯელის სახეს რომლის წინასწარ განჭვრეტა მოქალაქეს არ შეუძლია.არ იცის წინასწარ კონკრეტულად ამ დანაშაულზე დაეკისრება თუ არა ჯარიმა.სისხლის სამართლის კოდექსის42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ჯარიმა დამტებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს მაშინაც კი როდესაც იგი დამატებით სასჯელად არ არის განსაზღვრული შესაბამის მუხლში.[10]

თნამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.თნამდებობის ან სასაქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანინშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.აღნიშნული სასჯელით სახელმწიფო გამორიცხავს მსჯავრდებულის თანამდებობასთან ან საქმიანობასთნ პირდაპირ დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობას.ასევე შესაძლებელია დანაშული პირდაპირ კავშირში არ იყოს მის დანაშაულებრივ საქმიანობასთან მაგრამ მისი სამსახურებრივი მოვალეობის გაგრძელება მიზანშეწონილი არ იყოს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.აღსანიშნავია რომ ალტერნატიული სასჯელებიდან ჯარიმის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან სახეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა წარმოადგენს.იგი მოიაზრებს ანაზღაურების გარეშე,საზოგადოებისა და ბიუჯეტის სასარგებლოდ სხვადასხვა სამუშოს შესრულებას იმ პირის მიერ,ვისაც ეს სასჯელი შეეფარდა.გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად,საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მოითხოვს რომ დამნაშავემ შეასრულოს უსასყიდლო შრომა ან და სპეციალური სამუშაო ამგვარი ბრძანების

[9] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები.ირაკლი დვალიძე,გამომცემლობა მერიდიანი,თბ.2013.

[10]საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში,თბილისი2012.

გამოყენებამდე სასამართლოს სჭირდება სანდო ინფორმაცია იმის შესახებ რომ ესეთი შრომა ხელმისაწვდომია სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შიძლება გამოიხატოს სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში სკვერების დალაგებაში და ა.შ.[11]

გამასწორებელი სამუშო.

გამასწორებელი სამუშაო პირდაპირ არის დაკავშირებული მსჯავრდებულის სამსახურებრივ საქმიანობასთან,მსჯავრდებულის სტაბილური და ანაზღაურებადი სამსახურის არარსებობა თვისთავად გამორიცხავს სასჯელის ამ სახის გამოყენებას.გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვეითება განაჩენით დადგენილი ოდენობა არანაკლებ ხუთისა და რაუმეტეს ოცი პროცენტისა.რა ხდება მაშინ როდესაც მსჯავრდებული ორ ადგილას მუშაობს ასეთ დროს არჩევანი მსჯავრდებულის ძირითდ სამსახურზე შეჩერდება.გამასწორებელ სამუშაოზე ჯიუტად თავის არიდების შემთხვევაში აღნიშნული სასჯელი შეიძლება შიცვალოს თვისუფლების შზღუდვით ან თვისუფლების აღკვეთით.[12]

სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა.სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა მსჯავრდებულის სამხედრო საქმიანობის სფეროში ჩადენილ დანაშაულს უკავშირდება.აღსანიშნავია ის ფაქტი რომ თუკი სამხედრო მოსამსახურე ჩაიდენს სხვა დანაშაულს,რომლისთვისაც გათვალისწინებულია გამასწორებელი სამუშაო,მას დაენიშნება სამსახურებრივი შეზღუდვა (და არა გამასწორებელი სამუშაო).სამხედრო მოსამსახურედ ითვლება პირი,რომელიც სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე,რეზერვისტების მიმართ აღნიშნული სასჯელი არ გამოიყენება.სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვეითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით,რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის 20 პროცენტს.სამხედრო პირის

---

[11] ავტორთა კოლექტივი,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,მეორე გამოცემა,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2016.

[12] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,ირაკლი დვალიძე,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი 2013.

სამართლებრივი შეზღუდვა,როგორც სასჯელის სახე გაგრძელდება იმ შემთხვევაშიც თუკი სამხედრო მოსამსახურე სხვა ადგილას გააგრძელებს სამხედრო მოვალეობის შესრულებას.[13]

თავისუფლების შეზღუდვა.მნშვნელოვანია როდესაც ალტერნატიულ სასჯელს ვახსენებთ შევეხოთ თავისუფლების შეზღუდვას.ეს სასჯელი განეკუთვნება თვისუფლების აღკვეთის ალტერნატიულ სახეს.საქართველოში ეს სასჯელი ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47_ე მუხლის თანახმად,თვისუფლების შეზღუდვა ნიშნავს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის 14 წელს მიღწეული მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციის გარეშე მოთავსებას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში,მასზე ზედამხედველობის განხორციელებით.პრობაციის ეროვნული სააგენტო სრულად უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა სათანადო პირობებს-დაზღვევას,კვებას,მუშობას,ყოფახცოვრებას.მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების შეზღუდვის ადგილას ასევე ჩართულია სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში რაღა თქმა უნდა მისივე თანხმობით და მისი გონებრივი შესაძლებლობების შესაბამისად.აღნიშნული დაწესებულება სადაც პირები იხდიან ამ სასჯელს სრულიად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.სარებილიტაციო ცენტრი მოიცავს საგანმანათლებლო ცენტრებს,სკვერებს,სასადილოს,მაღაზიას,სპორტულ მოედანს[14]ეს ყოველივე კი კარგად მოქმედებს მსჯავრდებულის რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე და ამზადებს მას თავისუფლებისათვის.

ვადიანი თვისუფლების აღკვეთა.ვადიანი თვისუფლების აღკვეთა ერთ-ერთი უძველესი სასჯელის მეთოდია და ნიშნავს მსჯავრდებულისათვის საზოგადოებისგან იზოლაციას.მის მოთავსებას კანონით განსაზღვრულ შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.იმ

[13] ავტორთ კოლექტივი.სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი,მეორე გამოცემა,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2016

[14] ავტორთა კოლექტივი,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,მეორე გამოცემა,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2016.

შემთხვევაში თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათის არ შსრულებია თვრამეტი წელი,იგი თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მოთავსდება არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში.ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ორი საფუძველი არსებობს:1)თუ ჩადენილი დანაშაულისათვის გამოიყენება ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და 2)თუ ჯარიმა,თავისუფლების შეზღუდვა,საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან გამასწორებელი სამუშაო იცვლება თავისუფლების აღკვეთით.[15]

უვადო თავისუფლების აღკვეთა.უვადო თავისუფლების აღკვეთა ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მსგავსად ყოველთვის დაკავშირებულია მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციასთან და განსაზღვრულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებასთან.უვადო თავისუფლების აღკვეთა შიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას.სსკ-ის 51_ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით,აღნიშნული სასჯელი არ შიძლება დაენიშნოს პირს რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი და იმ პირს ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.აღსანიშნავია,რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა სასჯელთა სისტემაში ყველაზე მკაცრი სასჯელია.ყველას უჩნდება კითხვა თუ რა საჭიროა ასეთი მკაცრი სასჯელი,რატომ მოტხოვს კანონმდებელი სასჯელის მინიმუმ 25 წლით მოხდას?სასჯელი ხომ მსჯავრდებულის გამოსწორებას უნდა ემსახურებოდეს მაგრამ საქმეც იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელი მხოლოდ დამნაშავის გამოსწორებას არ გულისხმობს სასჯელის ერთ-ერთი და უმთავრესი მიზანია სამართლიანობის აღდგენა,რომელიც თავის თვში მოიაზრებს სამაგიეროს მიზღვასაც.[16]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უვადო თავისუფლების აღკვეთის ლეგიტიმაცია კიდევ

[15] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,ირაკლი დვალიძე,გამომცემლობა მერიდიანი,თბ.2013.

[16] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებირივი შედეგები,ირაკლი დვალიძე,გაამომცემლობა მერიდიანი,თბ.2013.

უფრო დასაბუთთა 2010 წელს.სსკ-ის 73-ე მუხლს დაემატა მე-7 ნაწილი:“მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება შეეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით თუ მან მოიხადა თვისუფლების აღკვეთის თხუთმეტი წელი და თუ საქართველოს სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს ,რომ საჭირო აღარ არის მსჯავრდებულმა გააგრძელოს სასჯელის მოხდა“ [17]

ქონების ჩამორთმევა.2005 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისა,დამატებითი სასჯელის ერთ-ერთ სახედ ქონების ჩამორთმევა განისაზღვრა.სისხლის სამართლის კოდექსის 52_ე მუხლში ქონების ჩამორთმევა შესაბამისად განიმარტა“დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისათვის,მსჯავრდებულისათვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული,განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე საიხით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევასდანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ,ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისათვის,იმ შემთხვევაში,როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ან/და იარაღი ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ან/და ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“[18]აღსანიშნავია,რომ სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლი იმ ქონების კონფისკაციის შესაძლებლობასაც იძლევა,რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის საკუთრებას და ამ პირის კანონიერ მფლობელობაში იმყოფება.სწორედ ამგვარი შემთხვევის შდეგად დაზარალებული პირების კონსტიტუციური სარჩელი გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სისხლის

[17] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

სამართლის კოდექსის აღნიშნულ დებულებაზე მსჯელობის საფუძველი.[19]დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ინიშნება ნებისმიერი განზრახი დანაშაულის ჩადენისას.ჩამოსართმევი დანაშაულის საგნის ან/და იარაღის,ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი ბრალდებულის საკუთრებაა ან მას კანონიერად ფლობს.აღნიშნული ქონება ან განზრახი დანაშაულის დროს იყო გამოყენებული,ან ამისთვის იყო რაიმე სახით გამიზნული (მაგალითად,ცეცხლსასროლი იარაღი,რომელიც დამნაშავეს დანაშაულის განხორციელებისას თან ჰქონდა,მაგრამ არ გამოუყენებია,ვინაიდან ამის საჭიროება არ ყოფილა).[20]ეს რაც შეეხებოდა სასჯელთა სახეებს, სწორედ სასჯელთა ეს საახები არსებობს საქართველოში და ამ სასჯელებს გამოიყენებს სახელმწიფო დანაშაულთა ჩამდენ პირთა მიმართ.

2.1.2 სასჯელის შესახებ თეორიები.

განვიხილოთ თუ რას ნიშნავს ზოგადად სიტყვა თეორია.თეორია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს 1)მოძღვრებას,იმ განზოგადებულ დებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან რაიმე მეცნიერებას,ან მის რაიმე დარგს,ზოგად განყენებულ მსჯელობას და შეხედულებებს.

არსებობს სასჯელის სამი თეორია:1)აბსოლუტური თეორიები სასჯელის შესახებ,2)შეფარდებითი ანუ პრევენციული თეორიები და 3)შემაერთებელი ანუ შერეული თეორიები.აღსანიშნავია,რომ აბსოლუტური თეორიები სასჯელის ძირითად საფუძველს სამაგიეროს მიზღვაში ხედავენ.შეფარდებითი ანუ პრევენციული თეორიები,დანაშაულის წინასწარ აცდენას ასახელებენ.ხოლო რაც შეეხება შემაერთებელ ანუ შერეულ თეორიებს ეს თეორიები მოიცავს აბსოლუტური და შემაერთებელი თეორიების სინთეზს.[21]

ა) აბსოლუტური თეორიები სასჯელთა შესახებ

[19] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,საკუთრების უფლება საქართველოში,თბილისი 2007.
[20] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,გამომცემლობა მერიდიანი,თბ.2013.
[21] ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.37.

აბსოლუტური თეორიების ჯგუფს ეკუთვნიან კანტისა და ჰეგელის თეორიები.აბსოლუტური თეორიის მიხედვით სასჯელი ჩადენილი ქმედებისათვის მხოლოდ შურისძიებას წარმოადგენს.[22]

აბსოლუტური თეორია სასჯელის მიზნის გაგების თვალსაზრისით შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად:1)სასჯელმა უნდა გამოასწოროს ჩადენილი უმართლობა,განკურნოს და აღადგინოს სამართალი;2)სასჯელი უნდა იყოს შურისძიება მომხდარი უმართლობისათვის.[23] გერმანელი პროფესორი კლაუს როქსინი,მიუთითებს რომ,შურისძიების თეორია სასჯელის აზრს ხედავს არა რაიმე სოციალურად სასარგებლო მიზანში არამედ მხოლოდ და მხოლოდ სამაგიეროს მიზღვაში.სამაგიეროს მიზღვა აბსოლუტური თეორიის მიხედვით არ არის გათანაბრებული შურისძიებასთან იგი გახლავთ სამართლის პასუხი ჩადენილ ქმედებაზე.ამით სახელმწიფო დამნაშავისათვის სასჯელის დაწესებით კმაყოფილდება გამომდინარე იქიდან,რომ დამნაშავემ სამართლებრივ წესრიგს ზიანი მიაყენა.სასჯელის აბსოლუტური თეორია იგივე თანასწორობის თეორიაა ვინაიდან სასჯელში თანასწორობა ხორციელდება.

სასჯელის შესახებ აბსოლუტურ თეორიას ავითარებს კანტი.იგი წერს დამნაშავე ისჯება იმიტომ, რომ იგი თავისი დანაშაულისათვის აგებს პასუხს,იგი იმსახურებს ამ საჯელს ვინაიდან მისი ქმედება ეწინააღმდეგება საერთო წესებს.დამნაშავე ისჯება იმიტომ,რომ მან დაარღვია ზნეობრივი კანონი.ადამიანი კანტის აზრით არ შიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ საშუალება ის უნდა იყოს აგრეთვე მიზანი.ეს გახლავთ ღირებულებების ფორმით მიზნის აღიარება.სასჯელი გვევლინება, როგორც შურისძიების ზღვევინების საშუალებად.ზღვევინება უნდა გამოიხატოს სასჯელისა და თანასწორობის პრინციპით.აქედან გამომდინარე კანტი თვლიდა რომ ქურდი უნდა დაისაჯოს ქონების ჩამორთმევით მკვლელი უნდა დაისაჯოს სიკვდილით,გაუპატიურების ჩამდენი კასტრაციით და ა.შ ეს ერთგვარად ტალიონის პრინციპს ჰგავს(„თვალი თვალის

[22] H.jescheck,Lehrbuch des Strafrechts,Allgemeiner Teil,Berlin,1998,S.62.

[23] მ.ქათამაძე,სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში,ალმანახი,N3,2004,გვ.51.

წილ,კბილი კბილის წილ“).კანტი შურისძიების თეორიების განხილვისას ასახელებს სამ ძირითად პუნქტს:1)დამნაშავე უნდა დაისაჯოს მისი ქმედებისათვის,2)დამნაშავე შიძლება დაისაჯოს მხოლოდ ბოროტებისათვის,3)სასჯელის სიმძიმე და სახე და დანაშაულის სიმძიმე და სახე უნდა იყოს იდენტური.[24]კანტის აღნიშნულ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის და დანაშაულის სიმძიმესთან დაკავშირებით ვინაიდან არ შეიძლება დაზარალებულს უსამართლობის გრძნობა დაეუფლოს რადგან დამნაშავეს შეეფარდოს ნაკლები სასჯელი იმასთან შედარებით რაც მან ჩაიდინა.ხოლო დანაშაულის სახე და საჯელის სახე რომ ტოლი იყოს არ მიმაჩნია სწორად და მიზანმიმართულად.

სასჯელის აბსოლუტურ თეორიას ავითარებს ჰეგელიც.იგი მიუთითებს, რომ სასჯელის უფლებას ადამიანის გონებაში უნდა პოულობდე,მისი ცნობილი დებულება გახლავთ სასჯელი დამნაშავის უფლებაა.[25]

სასჯელი დამნაშავის უფლება შეიძლება იყოს მაშინ როდესაც იგი ჩაიდენს განზრახ დანაშაულს მაგრამ რა ხდება მაშინ როცა დანაშაული ჩადენილია გაუფრთხილებლობით?გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს ჰეგელის ეს დებულება არ მართლდება,ამიტომ ჰეგელი საერთოდ ვერ ასაბუთებს თავის დებულებას რომ სასჯელი დამნაშავის უფლებაა.ჰეგელიც კანტის მსგავსად სამაგიეროს მიზღვას ასახელებდა სასჯელის სახედ თუმცა არა ისე როგორც კანტი.ჰეგელს სამაგიეროს მიზღვა არ ესმოდა როგორც მატერიალურად სამაგიეროს მიზღვა არამედ როგორც სამართლიანი თანაფარდობა დანაშაულით გამოწვეულ ზიანსა და დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდებით მიყენებული ზიანის ფასეულობას შორის.კანტი და ჰეგელი უარყოფენ სასჯელის ისეთ მიზნებს როგორიცაა დაშინება და გამოსწორება.

აბსოლუტური თეორია ბოლო დრომდე ძალიან დიდ როლს თამაშობდა,ყოველი კრიმინალური სასჯელი გახლავთ შურისძიება ბოროტება.არსანიშნავია რომ

[24] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი 2016,გვ38,39.
[25] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი 2016,გვ39.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში დაშინებასა და გამოსწორებასთან ერთად ასევე ვხვდებით შურისძიებას როგორც სასჯელის მიზანს.აბსოლუტური თეორიების ჯგუფს მიეკუთვნება აგრეთვე ეგრეთწოდებული თეოლოგიური თეორია,რომელიც დანაშაულს თვლის ღვთაებრივი მცნების დარღვევად და სასჯელსაც უყურებს,როგორვ ზნეობრივი ძალით დაწესებულ ინსტიტუტს.[26]

ბ) შეფარდებითი თეორიები სასჯელის შესახებ

შეფარდებითი თეორიის მიხედვით სასჯელი უნდა იძლეოდეს საზოგადოებისათვის და აგრეთვე სახელმწიფოსათვის სასარგებლო შედეგებს.შეფარდებით თეორიებს ასევე უწოდებენ უტილიტარულ თეორიებ. შეფარდებითი ანუ უტილიტარული თეორიები სასჯელის გამოყენებისას არ კმაყოფილდებიან მხოლოდ და მხოლოდ იმ საფუძვლით,რომ ინდივიდმა ჩაიდინა დანაშაული არამედ მთავარ ყურადღებას აქცევენ სასჯელის შეფარდების სოციალურად სასარგებლო შედეგებს.ეს თეორიები ფაქტობრივად გახლავთ პრევენციის თეორიები,რომლებიც ითვალისწინებენ საერთო და სპეციალურ პრევენციას.

აღნიშნულ თეორიაზე დაყრდნობით,სასჯელის მთავარი მიზანი მდგომარეობს არა ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის შურისძიებაში არამედ შემდგომი დანაშაულის თავიდან აცილებაში.სასჯელის შეფარდებითი თეორიები სხვა პოზიციაზე დგას აბსოლუტურ თეორიებთან შედარებით.აღნიშნული თეორიის მიხედვით სასჯელის მიზანი არ გახლავთ სამაგიეროს მიზღვა იგი ემსახურება საზოგადოების დაცვას.სასჯელი გახლავთ დანაშაულის თავიდან აცილების საშუალება და არა თვითმიზანი.სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია<რომ სასჯელის არსი არ შიძლება იყოს თვითმიზანი.[27]

სასჯელის თანამედროვე შეფარდებითი თეორიები ძირითადად ორიენტირებულია პრევენციაზე.“სასჯელი ახდენს პრევენციულ ზემოქმედებას.კითხვაზე რატომ უნდა

[26] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ40,41.
[27] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.41.

დაისაჯოს?სამართლებრივი სახელმწიფო პასუხობს:მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან ასაცილებლად.“

სასჯელის პრევენციულ ზემოქმედებაში გამოიყოფა სამი ძირითადი წინაპირობა:1)მომავალში ადამიანის უსაფრთხო ქცევის პროგნოზი.2) იქიდან გამომდინარე რომ სასჯელი გამომდინარეობს საშიშროებიდან,პრევენციული წარმატება დიდი ალბათობით იქნება.3)დანაშაულისაკენ მიდრეკილება გვხვდება არა მხოლოდ ახალგაზრდა დამიანებში არამედ მოზრდილებშიც,ხოლო მათი დაშინება აღზრდა და დაცვა სასჯელის აღსრულებისას ეფექტურად ხორციელდება სოციალურ_პედაგოგიური მუშაობით.

პრევენციის თეორიებს მაღალ დონეზე განიხილავს ცნობილი იტალიელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ჩეზარე ბერკარია თავის ნასრმში „დანაშაულისა და სასჯელისათვის“.მისი აზრით დამნაშავის დასჯაზე ბევრად მნიშვნელოვანია სასჯელის თავიდან აცილება და სწორედ ამაზეა იგი ორიენტირებული.იქიდან გამომდინარე რომ ბეკარია სასჯელის მთავარ მიზნად დანაშაულის წინასწარ აცილებას მიიჩნებს სწორედ ამიტომ ითვლება პრევენციის თეორიის მიმდევრად.[28]

ნიკიფიროვი თვლიდა,რომ სასჯელი უნდა იყოს არა მარტო დასჯა რაღაცისთვის არამედ ის უნდა არსებობდეს აგრეთვე სასარგებლო მიზნების მიღწევისათვის.ასე მაგალითად ქურდობაში დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმიტომ,რომ მომავალში არა უშუალოდ დამნაშავემ არამედ მოქალაქეებმაც არ ჩაიდინონ მსგავსი დანაშაული .[29] ბენტამი სასჯელის მთავარ მიზნად თვლის დანაშაულის წინასწარ აცილებას.ბენტამის ძირითადი მსჯელობა დამყარებულია სარგებლობის,მიზანშეწონილობის საწყისზე თუმცა იგი განიხილავს და ნაწილობრივ აღიარებს სამაგიეროს მიზღვასაც.

სამაგიეროს მიზღვის სასტიკი წინააღმდეგია ანსელმ ფოიერბახი,იგი თვლის, რომ სამაგიეროს მიზღვა დაკავშირებულია ზნეობრივი ბრალის ცნებასთან,ხოლო ეთიკურ

[28] ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.41.
[29] ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნები,თბილიი2016,გვ.42.

კატეგორიათა სამართლის დარგში გადატანას იგი დაუშვებლად თვლის.ფოიერბახის აზრით სასჯელის შეფარდება ხდება ხდება მხოლოდ იმიტომ,რომ ადამიანი არღვევს სათნოების მოთხოვნებს და მისი განწყობილება არ შეესაბამება კანონს.ფოიერბახი მკაცრ ზღვარს დებს სამართალსა და ზნეობას შორის და კანტისაგან განსხვავებით სამართლის სფეროში გადაჭრით უარყოფს ზნეობრივი სამაგიეროს მიზღვის პრინციპს,რომლის თანახმადაც სასჯელი პროპორციულობაში უნდა იმყოფებოდეს ადამიანის ზნეობრივ მანკიერებასთან.ფოიერბეხი ზოგადად გენერალური პრევენციის თეორიის მიმდევრად უფრო ითვლება.[30]

ფოიერბახის მსგავსად უარყოფს სამაგიეროს მიზღვის პრინციპს გერმანელი კრიმინალისტი კ.გროლმანი.მათ შეხედულებას შორის ის განსხვავებაა,რომ ფოიერბახი სასჯელის დანიშნულებას საერთო პრევენციაში ხედავს,მისთვის უპირველესად სასჯელით მუქარა დგას,ხოლო გროლმანს პირიქით ძირითადი ყურადრება კერძო პრევენციაზე გადააქვს.სწორედ გერმანელი კრიმინალისტი გროლმანი გახლავთ ფუძემდებელი პრევენციული თეორისაა.იგი ამბობს,რომ იურიდიული წესრიგი მაშინ არის მყარი,როდესაც ყველა მოქალაქეს აქვს მყარი ნებისყოფა არ დაარღვიოს კანონი.[31]

პრევენციული თეორიის მიმდევრად ითვლება ასევე ფრანც ლისტი,რომელსაც ძირითადი მიმართულება გადააქვს სპეციალურ პრევენციაზე.ლისტი ფოიერბახისგან განსხვავებით სპეციალურ პრევენციას ანიჭებს მნიშვნელობას და სასჯელის მთავარ მიზნად მიიჩნევს დანაშაულის აცილებას თვით დამნაშავის მხრიდან.ფოიერბახი დანაშაულის წინასწარ აცილებას ზოგადი პრევენციის ფარგლებში იხილავს და დამაშინებელ ეფექტს ახდენს.

ფრანც ლისტი,როგორც სპეციალური პრევენციის მიმდევარი,უარყოფს სასჯელის შურისძიების თეორიას და სასჯელის მიზნად გამოსწორებას,დაშინებას და დამნაშავის რესოციალიზაციას ასახელებს.[32]

---

[30] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ42.
[31] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ43.
[32] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.43.

რუსი კრიმინალისტი კისტიაკოვსკიეხება სასჯელის პრობლემას და მიუთითებს,რომ ადამიანი უძველესი დროიდან დღემდე სასჯელის გამოყენებისას ხელმძღვანელობს შემდეგი საფუძვლებით მიძნებითა და მოტივებით: „ა)დანაშაული აკარგვინებს ადამიანს რაიმე მატერიალურ,ან ზნეობრივ სიკეთეს ამიტომ იგი შეურაცხჰყოფილად გრძნობს თავს; ბ)დანაშაულს გამოჰყავს იგი ნორმალური მდგომარეობიდან და იწვევს მასში შიშს,საფრთხის მოლოდინს მომავალში.ხოლო ამგვარი მდგომარეობიდან გამომდინარეობს სამი მოტივი:ა)მიუზღოს სიავე სიავისათის,მისი სიკეთის ან უფლების დამრღვევ პირს;ბ)მომავალში დაიცვას თავი დანაშაულისაგან დამნაშავის ფიზიკური მოსპობით,ზიანის მიყენების შესაძლებლობის აღკვეთით,მასში ან სხვა პირებში შიშის გამოწვევით,რათა მომავალში არ იქნას ჩდენილი ასეთი დარღვევა სიკეთეთა და უფლებებისა;გ)დანაშაულის გზით წართმეული მატერიალური სიკეთის დაბრუნება ან სათანადო ანაზღაურების მიღება. „[33]

გერმანელი კრიმინალისტი ბინდინგის თანახმად კი სასჯელი არ არის სამაგიეროს მიზღვა,სამაგიეროს გადახდა არამედ ის უნდა იყოს მიზანმიმართული და თავისთავადი სარგებელი.აქედან ჩანს რომ ბინდინგი უარყოფს სამაგიეროს მიზღვის პრინციპს და აღიარებს სასჯელის სარგებლიანობას.

პრევენციული თეორიის მომხრეა აგრეთვე მარკელი,რომელიც მიიჩნევს,რომ სასჯელს უნდა მოჰქონდეს სარგებელი.მისი თეორიის მიხედვით სამართლიანი სასჯელი ემსახურება ხალხის ინტერესებს.[34]

ჩვენ განვიხილეთ არაერთი სამართლის მცოდნის იდეები და მოსაზრებები და აქედან ნათლად გამოიყო,რომ კრიმინალისტ-კლასიკოსები უპირატესობას ანიჭებენ საერთო პრევენციას ხოლო კრიმინალისტ-სოციოლოგები კი პირველ ადგილზე აყენებენ სპეციალურ პრევენციას.აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი,რომ საერთო და სპეციალური

[33] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.43.
[34] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.44.

პრევენციები ერთმანეთს არ უპირისპირდებიან უფრო მეტიც ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთის მუდმივი თანამგზავრებია.

გ) შემაერთებელი თეორიები სასჯელის შესახებ

სასჯელის შესახებ აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიები უკვე განვიხილეთ,რომლებიც მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს.ამ ხსენებულ თეორიების გარდა სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის შესახებ არსებობს კიდევ მესამე თეორია შემაერთებელი ანუ შერეული თეორიები,რომლებიც აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების დაზავებას ცდილობენ.აღნიშნული თეორიები შედარებით მრავალრიცხოვანია.[35]

გერმანულ სისხლის სამართალში განასხვავებენ შემაერთებელი თეორიების ორ სახეს:სამაგიეროს მიზღვისა და პრევენციულ შემაერთებელ თეორიებს.შემაერთებელი თეორიის მიხედვით სასჯელის მიზანი მდგომარეობს სამართლებრიივი სიკეთის დაცვის პრევენციაში.გერმანელი პროფესორი კლაუს როქსინი თვლის ,რომ სამაგიეროს მიზღვითი შემაერთებელი თეორიები სასჯელის მიზნებში ხედავენ სამაგიეროს მიზღვას,სპეციალურ და გენერალურ პრევენციას.გარდა ამისა სამაგიეროს მიზღვას ძირითადი ფუნქცია ეკისრება. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა,რომ სისხლის სამართლის ამოცანა არის საზოგადოების ცხოვრების ელემენტარული ფასეულობების დაცვა.ხოლო პრევენცია,დამნაშავის რესოციალიზაცია,ცოდვის გამოსყიდვა,შურისძიება ჩადენილი ქმედებისათვის გასათვალისწინებელია სასჯელის შეფარდებისას.

სასჯელის გენერალურ და სპეციალურ პრევენციას შორის სისხლის სამართალში განსხვავებული აქცენტები კეთდება ასე მაგალითად სასჯელის დაშინების მიზანი არის წმინდა გენერალური პრევენცია,სასჯელის შეფარდებისას სასჯელის გენერალური და

[35] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.45.

სპეციალური პრევენციის მიზანი ერთნაირაირად უნდა იყოს გათვალისწინებული ხოლო სასჯელის აღსულებისას წინა პლანზე უნდა იყოს წამოწეული სპეციალური პრევენციის მიზანი(რესოციალიზაცია).[36]

გერმანული სასამართლო დიდი ხანია იყენებს სასჯელის შემაერთებელ თეორიებს.იმ ქვეყნებში,რომლის სისხლის სამართალი ნაწილობრივ ხაზს უსვამს სპეციალური პრევენციის მიმართულებას,საამართლო პრაქტიკა შემაერთებელი თეორიის ერთგული რჩება.უშუალოდ სასჯელის შეფარდებისას პირველ ადგილს იკავებს სასჯელის შურისძიების მიზანი,ხოლო შემდგომ დაშინების მიზანი.როდესაც განვსაზღვრავთ სასჯელის სახესა და ზომას გასათვალისწინებელია დამნაშავის ბრალი,ქმედების სიმძიმე და შედეგები,დამნაშავის პერსონალური მონაცემები და აგრეთვე მისი რეინტეგრაცია.სასჯელის გენერალურ პრევენციას იყენებს სასამართლო პრაქტიკა სამართლიანი სამაგიეროს მიზღვის გვერდით.სასჯელმა არა მარტო შური უნდა იძიოს არამედ მომავალი დანაშაულიც უნდა აიცილოს.სასჯელის შეფარდების საფუძველი არის ქმედების სიმძიმე და დამნაშავის პერსონალური ბრალის ხარისხი.[37]

ზაუერი თვლის,რომ სამართლებრივი სასჯელი გახლავთ დამნაშავისათვის ტანჯვის მიყენება ბრალეული ქმედებისათვის სამაგიეროს მიძღვის მიზნით.ზაუერის აზრით სამაგიეროს მიზღვა არ გახლავთ სასჯელის შინაარსი,არამედ იგი არის სასჯელის მიზანი."არსებობს სასჯელის სამი მიზანი:ა)სამაგიეროს მიზღვა უმართლობისათვის; ბ)საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ბრალის გამოსყიდვის გზით; გ)საზოგადოებისა და მისი წევრების უზრუნველყოფა და დაცვა."[38] შესაბამისად სამაგიეროს მიზღვა არ შეადგენს სასჯელის არსს,იგი არის სასჯელის მიზანი.ზაუერის აზრით მიზანი მოთავსებულია შინაარსის გარეთ.

---

[36] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.44,45.
[37] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.45.
[38] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016,გვ.46.

გერმანელი იურისტი ნაგლერი,თვლის,რომ სასჯელი წარმოადგენს რეაქციას დანაშაულის მიმართ.იგი აღნიშნავს,რომ ტერმინი სასჯელი არასწორად არის გაგებული გერმანულ სისხლის სამართალში,ზოგადად კი ნიშნავს სამართლის ბრალეული დარღვევის ექვივალენტს.ნაგლერი აღნიშნავს, რომ სამაგიეროს მიზღვა არ არის გაქვავებული ნორმა,რომელიც მოითხოვს,რომ სადაც კი უნდა მოხდეს სამართლის ბრალეული დარღვევა,უსათუოდ მას უნდა მოჰყვეს დაუნდობელი სასჯელი.სასჯელი ადამიანს მხოლოდ სამაგიეროს მიზღვისთვის არ ეფარდება არამედ იმიტომ,რომ სარგებელი მოუტანოს მას.

ფრანგი კრიმინალისტი ორტოლანი აღნიშნავს,რომ სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს,რომ დამნაშავეს უნდა მიეზღოს მისი ქმედება პროპორციულად.იგი ამბობს,რომ ადამიანი გახლავთ არსება,რომელშიც შერწყმულია ორი ელემენტი:სული და მატერია,ხოლო მის ქცევის წესში კი ორი პრინციპი:სამართლიანობა და სარგებლიანობა.აქედან გამომდინარე ჩანს,რომ ორტოლანის თეორია შემაერთებელი თეორიის ნიმუშს წარმოადგენს.[39]

გერმანელი პროფესორი იეშიკი მიუთითებს,რომ სასჯელის შემაერთებელი თეორიისას სამართლიანი სასჯელი ემსახურება საზოგადოების დშინებას და მათი სამართლებრივი მართლშეგნების გაძლიერებას,ასევე დამნაშავის დაშინებას და მათ აღზრდას.სასჯელის მიზანია დანაშაულის პრევენცია და აღნიშნული მიზანიი შეიძლება მიღწეულ იქნას მაშინ, როდესაც მიზანი სასჯელის თანასწორობის მოთხოვნებს შეესაბამება.

ფრანგი კრიმინალისტი ვიდალი განმარტავს,რომ საჯელი ეს არის სიავე,რომელსაც დანაშაულის ჩამდენს უფარდებენ საზოგადოებისა და სასამართლოს სახელით,ვინაიდან მას მიუძღვის ბრალი და იგი სოციალურად პასუხისმგებელია ამ დანაშაულისათვის.ვიდალი სასჯელებს სხვადასხვა თვალსაზრისით განასხვავებს.მისი აზრით სასჯელები უნდა იყოს 1)საერთო პრევენციული,2)მტკივნეული,ე.ი.დამნაშვისათვის

[39] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016.გვ47.

სიავის მიმყენებელი,რაც უნდა იყოს პროპორციული დანაშაულის სიმძიმისა და მოქმედი პირის მანკიერებისა;3)გამასწორებელი,რომელიც გულისხმობს დამნაშავის ზნეობრივ გადახალისებას(სპეციალური პრევენცია).

რუსი კრიმინალისტი ჟიჟილენკო განასხვავებს სასჯელსა და პრევენციულ ღონისძიებებს.მისი აზრით სასჯელი გულისხმობს დამთავრებულ ან დაწყებულ დანაშაულს,ხოლო პრევენციული ღონისძიებები მომავალში მოსალოდნელ სამართალდარღვევას.ჟიჟილენკო სამართალს განმარტავს შემდეგნაირად „სასჯელი არის აკრძალული მოქმედების სამართლებრივი შედეგი,რომელიც წარმოადგენს ბრალეული პირის უფლებრივ სიკეთეთა შეჭრას და ამით განმარტავს მის მიერ ჩადენილი ქმედობის შეფასებას“

რობერტ ჰილმა აღნიშნა 1925 წელს,რომ ყველა თეორია შეიცავს ხარვეზს გარდა შემაერთებელი თეორიისა მხოლოდ შემაერთებელ თეორიას შეუძლია შეავსოს ეს ხარვეზები[40].

ზემოთ მოყვანილი მეცნიერების ნააზრევიდან ჩანს,რომ კლასიკური სკოლის თეორეტიკოსთა აზრით სასჯელი გულისხმობს სამაგიეროს მიზღვას ჩადენილი დანაშაულისათვის რასაც არ ვეთანხმები და ვთვლი, რომ სასჯელის მიზანი არ წარმოადგენს სამაგიეროს მიზღვას.სოციალური სკოლა კი უარყოფს დამნაშავის მორალურ ბრალს რაც ძალიან განასხვავებს კლასიკურ სკოლასგან,ისინი აღიარებენ დანაშაულის წინასწარ თავიდან აცდენას რაც ბევრად წინგადადგმული ნაბიჯია კლასიკურ სკოლასთან შედარებით და ბევრად მისაღები პოზიცია აქვთ ჩემთვის.

2.1.3 სასჯელის ცნება და ნიშნები

[40] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016.გვ.48,49

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სასჯელის ცნება არ არის განსაზღვრული.სასჯელის ცნება მისი ნიშნები და ზოგადად სასჯელთან დაკავშირებული სხვა საკითხები იურიდიული დოქტრინის განხილვის საგანია.სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის,საზოგადოებრივი ინტერესების,მისი კეთილდღეობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით,სახელმწიფოს აქვს ქმედების კრიმინალიზაციისა და შესაბამისი სისხლისამართლებრივი ხასიათის რეპრესიული ღონისძიებების დაწესების უფლება.[41]

სასჯელი ზოგადად გახლავთ სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიება,რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი სახელით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს.[42]

სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და მართლწესრიგის უზრნველყოფის მიზნით სახელმწიფოს აქვს ქმედების კრიმინალიზაციისა და შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ხასიათის რეპრესიული ღონისძიებების დაწესების უფლება.[43]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია,რომ „სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“[44].

როდესაც ქმედებას დანაშაულად ვაცხადებთ ნიშნავს შესაბამისი სასჯელი დაწესდება ამ ქმედებისათვის,მხოლოდ ქმედების დანაშაულად გამოცხადება მისი აკრძალვა ვერ უზრუნველყოფს დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილებას. დასჯის მუქარასა და საჯელის გამოყენების უფლებას შეუძლია აზრი მისცეს ნებისმიერი ქმედების დანაშაულად

[41] ი.დვალიძე.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები გამომცემლობა მერიდიანი,,თბილისი 2013,გვ.11.
[42] https://geolaw.wordpress.com/2013/02/03/sasjelis-cneba-da-miznebi/
[43] ი.დვალიძე.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2013,გვ.11.
[44] https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=205

გამოყენებას და აგრეთვე მის აკრძალვას,რათა დანაშაულებრივი ქმედება შემდგომში თავიდან იქნეს აცილებული.

დღევანდელ სახელმწიფოში სისხლის სამართლის არსებობა გამართლდება იმ შემთხვევაში თუ საზოგადოების ინტერესების დასაცავად სისხლისსამართლებრივი ნორმები გამოიყენება,როგორც უკიდურესი საშუალება ანუ სისხლისსამართლებრივი ნორმა უნდა წარმოადგენდეს უკანასკნელ საშუალებას.აგრეთვე მნიშვნელოვანია,რომ სისხლისსამართლებრივი ღონისძიება პროპორციული იყოს ჩადენილი დანაშაულისა და მსჯავრდებულის პიროვებასთან მიმართებით.

იქიდან გამომდინარე,რომ დანაშაული სოციალურად საშიშია,რაც ნიშნავს იმას,რომ ნებისმიერი დანაშაული საზოგადოების ინტერესებსაც ხელყოფს,მიუხედავად იმისა,რომ ზოგიერთი დანაშაული ერთიშეხედვით კერძო ინტერესს ხელყოფს.ამის გამო,ნაწილობრივ გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კანონმდებლის პოზიცია,რითაც უარყოფილია სისხლისამართლებრივი დევნის დაყოფა.ზოგიერთ დანაშაულის ტიპზე უნდა არსებობდეს კერძო-საჯარო დევნა,ვინაიდან კერძო ინტერესი უფრო მეტია,ვიდე საჯარო.[45]

სასჯელი,როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი,სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრი ღონისძიებაა,ამიტომ კანონმდბელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კონკრეტული ქმედებისათვის სასჯელის დაწესებას, ასევე კანონმდებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს სასჯელის გამოყენების აუცილებლობას,ეფექტურობას,პროპორციულობასა და ეკონომიკურობას.ხსენებული ფაქტორების არ გათვალისწინების შემთხვევაში ქმედითი არ იქნება დანაშაულის თავიდან აცილების სფეროში მოსალოდნელი სასჯელის მუქარა.ასე მაგალითად თუ ყაჩაღობა ისევე მკაცრად ისჯება როგორც მკვლელობა ეს ნიშნავს,რომ ყაჩაღი მოწმის

[45] ი.დვალიძე.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2013,გვ.12.

მოსაშორებლად მოკლავს დაზარალებულს,რითაც შეამცირებს სასჯელიდან მომდინარე დაშინებას.[46]

სისხლისსამართლებრივი სასჯელისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები შეიძლება გამოიყოს რაც სასჯელის ცნების ჩამოყალიბებაშიც დაგვეხმარება.

1)სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება,რაც ნიშნავს იმას,რომ სასჯელის დაწესების უფლება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს შეუძლია.სხვა სახელმწიფო იძულების ღონისძიებებთან შედარებით სასჯელი ყველაზე მკაცრი ღონისძიებაა.გარკვეული ქმედებისათვის სასჯელის დაწესება სახელმწიფოს პრეროგატივაა ეს ნიშნავს, რომ ქმედების კრიმინალიზაცია ან ქმედების დეკრიმინალიზაცია სახელმწიფოს უფლებაა.ბუნებრივია ვინც განსაზღვრავს ქმედების დანაშაულებრიობას მანვე უნდა განსაზღვროს დანაშაულის პროპორციული სასჯელი მისი სოციალური საშიშროების მიხედვით;.2)სასჯელი ინიშნება მხოლოდ დანაშაულის განხორციელებისათვის;3) სასჯელის გამოყენებას მკაცრად რეგლამენტირებული საპროცესო ფორმა გააჩნია.სასჯელი ინიშნება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.ჩვენს ქვეყანაში სასჯელის გამოყენება მხოლოდ სასამართლოს შეუძლია;4)სასჯელი დგინდება საქართველოს სახელით.სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალი გამოხატავს ხალხის ნებას,ანუ დამნაშავე ეწინააღმდეგება ხალხის ნებას სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი,რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 258-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით“განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით“5)სასჯელი,მისი ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე ყოველთვის გულისხმობს დამნაშავისათის რაღაც არასასურველს წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეებს სასჯელის შიში აღარ ექნებოდათ,არ არსებობს და თითქმის წარმოუდგენელია ისეთი სასჯელი რომელიც დამნაშავისათვის სიამოვნების მიმნიჭებელი შეიძლება იყოს ეს ფაქტი ერთგავარად მიუთითებს იმაზე,რომ სასჯელი როგორი სახისა და ზომისაც არ უნდა იყოს

[46] ი.დვალიძე.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები.გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2013,გვ.12.

იგი გარკვეულწილად მაინც არის შურისძიების გამოვლინება.აქედან გამომდინარე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სასჯელს ყოველთვის თან სდევს დამნაშავის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა;6)სასჯელი იწვევს განსაკუთრებულ იურიდიულ შედეგს-ნასამართლობას.[47]

ამრიგად, სასჯელი გახლავთ იძულებითი ღონისძიება,რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო და საქართველოს სახელით გამამტყუნებელი განაჩენის სახით ინიშნება დანაშაულის ჩადენისათვის,სასჯელი ყოველთვის უკავშირდება ადამიანის უფლებების შეზღუდვას და იწვევს ნასამართლეობას.

2.2 სასჯელის მიზნები

სისხლის სამართალში სასჯელის მიზნები განისაზღვრება სახელმწიფოს ფუნქციებით და იმ ამოცანებით,რომლებიც მათ წინაშე დგას დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.სასჯელის მიზნის ცნება შეიძლება ასე განიმარტოს სასჯელის მიზანი გახლავთ ის საბოლოო შედეგი რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებითი ღონისძიებათა მეშვეობით.[48]ადამიანის ყველა ქმედებას აქვს გარკვეული მიზანი,არ არსებობს ქმედება მიზნის გარეშე.ამიტომ,სასჯელს როგორც სახელმწიფო ქმედებას სამართლის სფეროში უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზნები.გრუნდელი მიუთითებდა, რომ სასჯელის მიზნებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხები არა მხოლოდ იურისტებმა უნდა გასცენ არამედ ფსიქოლოგების პედაგოგების და თეოლოგების კვლევის საგანი უნდა იყოს.სასჯელის მიზნები მეტად სადისკუსიო საკითხია სისხლის სამართალში.სასჯელის მიზნები არაერთი ფილოსოფოსისა თუ იურისტის კვლევის საგანი ყოფილა თუმცა მიუხედავად ამისა სასჯელის მიზნების შესახებ არ არის ერთიანი ცალსახად ჩამოყალიბებული აზრი.სანამ უშუალოდ განვხილავდეთ სასჯელის მიზნებს დღევანდელი კანონმდებლობით მოკლედ შევეხოთ თუ როგორ იყო გათვალისწინებული იგი 2000

[47] ი.დვალიძე.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2013,გვ.14.

[48] მართლმსაჯულება და კანონიhttp://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2014w-n4.pdf.

წლის 1ივნისამდე არსებული კოდექსით.2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად სასჯელი მხოლოდ დანაშაულისათვის დასჯას არ გულისხმობდა არამედ მიზნად ისახავდა მსჯავრდებულის გამოსწორებას მათ ხელახლა აღზრდას და შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულებას,დანაშაულთა აცდენას არა მარტო მსჯავრდებულებისგან არამედ სხვა პირთა მიერ.აქედან ჩანს,რომ ძველი სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის შინაარსად აღიქვამდა და მიიჩნევდა დასჯას ხოლო მიზნად მსჯავრდებულის გამოსწორებას,ხელახლა აღზრდას და დანაშაულთა პრევენციას,როგორც მსჯავრდებულების მხრიდან ასევე სხვა პირების მხრიდან.რაც შეეხება მსჯავრდებულის“ ხელახლა აღზრდას „არ შეიძლება სასჯელის მიზანი იყოს იქიდან გამომდინარე,რომ ხელეხალი აღზრდა გულისხმობს ზნეობრივ ასპექტს რაც სასჯელით არ მიიღწევა.აქედან გამომდინარე სასჯელის მიზნად ზნეობრივი გამოსწორების ჩათვლა მიუღებელია.ერთადერთი ლოგიკურია რომ ხელახალი აღზრდა გამართლებულად ჩაითვალოს ახალგაზრდებთან ,არასრულწლოვნებთან სრულწლოვნებთან ამის მიღწევა თითქმის შუძლებელია იქიდან გამომდინარე რომ ისინი ჩამოყალიბებულნი არიან და მათი ზნეობრივი გამოსწორება ძალზედ რთული თემაა.[49]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწლის თანახმად:,,სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა,ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“.უნდა აღინიშნოს,რომ სასჯელის მიზანი საქართველოს სისხლის სამართლის კოდქსში კარგად არის განსაზღვრული.მაგალითად იტალიის 1930 წელს მიღებული დღემდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა სასჯელის მიზნის ასეთი განმარტების საშუალებას.იტალიის სისხლის სამართლის თეორიის მიხედვით სასჯელი ნიშნავს სანქციას,რომელიც გამოიყენება დანაშაულებრივი ქმედების წინააღმდეგ.სასჯელის შესახებ სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს სამი თეორია ესენია:აბსოლუტური შეფარდებითი და შემაერთებელი თეორიები.აბსოლუტური თეორიები აბსოლუტურ საწყისს აცხადებენ სასჯელის საფუძვლად,ამ თეორიის

[49] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016წ.გვ.51.

მიმდევრები სასჯელის ძირითად მიზანს ხედავენ სამაგიეროს მიზღვაში.შეფარდებითი თეორიები უფრო პრაქტიკულ მიზნებს უსახავენ სასჯელს.მათი აზრით სასჯელი უნდა იძლეოდეს სასარგებლო შედეგებს,როგორც საზოგადოებისათის ასევე სახელმწიფოსათვის.ხოლო რაც შეეხება შეფარდებითი თეორიის მიმდევრებს ისინი სასჯელის მიზანს დანაშაულის თავიდან აცილებაში ხედავენ.ხოლო შემაერთებელი ანუ შერეული თეორიები შედარებით მრავალრიცხოვანია.შემაერთებელი თეორიები უფრო მეტად ცდილობს აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების შერიგებას და სწორედ ამიტომ წარმოადგენს შემაერთებელი თეორია აბსოლუტურისა და შეფარდებითი თეორიის ნარევს.ანუ ეს უკანასკნელი თეორია სასჯელის მიზანს როგორც სამაგიეროს მიზღვაში ასევე ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში ხედავს.[50] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული სასჯელის მიზნები მიეკუთვნება შემაერთებელი ანუ შერეული თეორიების ჯგუფს ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების სინთეზი.აბსოლუტური თეორიის მიხედვით სასჯელის მიზანს წარმოადგენს სამართლიანობის აღდგენა,ხოლო შეფარდებითი თეორიის მიხედვით კი დამნაშავის რესოციალიზაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

სასჯელის მიზნის გამოკვლევა არაერთმა ფილოსოფოსმა სამართლის მცოდნემ,სხვადასხვა დარგის სწავლულებმა სცადეს თუმცა ამ სფეროში კვლავ აზრთა სხვადასხვაობაა, არცერთ სხვა სფეროში არ მოიპოვება და თუ მოიპოვე ძნელად ასეთი საკითხი, რომელიც ამხელა დისკუსიას იწვევს.

აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ზოგადად სასჯელის ცნების განმარტება არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მიზეზი ამ ყველაფრის ის არის,რომ სასჯელის ცნება შეაქვთ სასჯელის მიზნებში.[51]

---

[50] ი.ვარძელასვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016წ.გვ.52.
[51] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016წ,გვ.53-54.

ჰეგელი თვლის,რომ ადამიანები კერძო მიზნებს ისახავენ,მაგრამ მათი მოქმედებიდან მიიღება ისეთი შედეგებიც,რომლებიც მათ არ გაუთვალისწინებიათ.შედეგი უფრო მეტს შეიცავს,ვიდრე ის კერძო მიზანი,რომელსაც ისახავდა ადამიანი.აქედან ჩანს, რომ ჰეგელი ორიენტირებულია შედეგზე.ხოლო რაც შეეხება კანტს ის მიზნის თავისთავადობაზე ამახვილებს ყურადღებას,მისი აზრით ადამიანი მხოლოდ საშუალება არ შეიძლება იყოს,არამედ ის უნდა იყოს თავისთავადი მიზანიც.ანუ აქედან ვხედავთ,რომ ჰეგელი შედეგზეა ორიენტირებული ხოლო კანტი მიზანზე.[52]

საყურადსაღებოა ის ფაქტი,რომ რეალურად შეუძლებელია სასჯელის ყველა მიზნის დაკონკრეტება ვინაიდან ისინი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და მათი ცალცალკე გამიჯვნა რთულია[53].

სასჯელის მიზნები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ შედეგს ვერ მოგვცემს,ასე მაგალითად დამნაშავის მიერ შემდეგში დანაშაულის არ ჩადენა სასჯელის მიზანს წარმოადგენს მაგრამ აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს შეიძლება არა.ამიტომ სასჯელის მიზნები საკმაოდ საინტერესო და ამოუწურავი საკითხია როგორც სისხლის სამართალში ასევე ფილოსოფიაშიც .

2.2.1 სამართლიანობის აღდგენა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1 ნაწილში სასჯელის ერთ-ერთ მიზნად მოიაზრება სამართლიანობის აღდგენა.სამართლიანობის აღდგენა უპირველესი მიზანია.

სამართლიანობა იდეალური მდგომარეობაა და წარმოადგენს როგორც სამართალშემოქმედების ასევე სამართლის შეფარდების მიზანს.სამართლიანობა

[52] ი.ვარძელაშვილი.სასჯელის მიზნები,თბილისი2016წ,გვ.54.

[53] მართლმსაჯულება და კანონიhttp://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2014w-n4.pdf.

წინააღმდეგობრივი და მრავალასპექტიანი მოვლენაა შესაბამისად,შეუძლებელია სამართლის ზოგადი ცნების ჩამოყალიბება.სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს.[54]

ამ ყველაფრის მიუხედავად ფილოსოფოსები მაინც აღნიშნავენ და საუბრობენ სამართლიანობასთან დაკავშირებულ სამ ძირითად პუნქტს:1)სამართლიანობა ნიშნავს თანასწორობას და ზნეობრიობას;2)სამართლიანობა არის ორმხრივობა,რომელიც დაკავშირებულია აკრძალვასთან არავინ უნდა დააზიანო;3)სამართლიანობა მოითხოვს სოციალურ სამართლიანობასაც.[55]

სამართლის თეორიაში ასევე განასხვავებენ სამართლიანობის ორ სახეს:ეს არის 1)გადანაწილებითი სამართლიანობა და 2)გათანაბრებითი სამართლიანობა.აღსანიშნავია,რომ გადანაწილებითი სამართლიანობა დიდ როლს ასრულებს იერარქიული სტრუქტურის მქონე ურთიერთობებში მოცემულ შემთხვევაში გადანაწილებითი სამართალი მოიცავს თანსწორობას,შეტანილ წვლილს და მოთხოვნილებას.თანასწორობის პრინციპის საფუძველზე თითოეულს უნდა მივაკუთვნოთ თანაბარი წილი.თანამედროვე გაგებით ეს ერთგვარად ნიშნავს,რომ სახელმწიფომ გაათანაბროს არსებული სოციალური განსხვავება.რაც შეეხება 2)გათანაბრებულ სამართლიანობას იგი მოიცავს ურთიერთობებს,რომელთაც არ აქვთ იერარქიული სტრუქტურა.გათანაბრებითი სამართლიანობა უდევს საფუძვლად სახელშეკრულებო სამართალს:ბინის დამქირავებელმა უნდა გადაიხადოს ქირა,მყიდველმა უნდა გადაიხადოს ნაყიდი ნივთის საფასური და ა.შ.სასჯელის ან კომპენსაციის (აღდგენითი)სამართლიანობა უდევს საფუძვლად სისხლის სამართალს -მიყენებული ზიანი უნდა შესაბამისად უნდა ანაზღაურდეს.დანაშაულისათვის უნდა დადგეს სასჯელი.[56]

---

[54] გ.ხუბუა,სამართლის თეორია,თბილისი,2004,გვ.67.
[55] ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნებიი,თბილისი2016,გვ55.
[56] გ.ხუბუა,სამართლის თეორია,თბილისი,2004,გვ.73.

სამართლიანობა ეთიკური კატეგორიაა და ნაცვალგების პრინციპზეა აგებული.სამართლიანობა წარმოუდგენელია შეფასების გარეეშე ანუ სადაც შეფასებაა იქ შეუძლებელია ერთიანი სტანდარტის დადგენა და საგამონაკლისი შემთხვევების გარეშე რამის მოაზრება.სწორედ სამართლიანობის კრიტერიუმით ხელმძღვანელობს ,როგორც კანონმდებელი,ისე ნორმის შემფარდებელი.ცნობილია,რომ ნორმა სამართლიანობას ეფუძნება და ყველასთვის ერთიან სტანდარტს აწესებს.მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას,რომ ნორმის (როგორც აბსტრაქტული საზომის)ყველა შემთხვევაში თანაბრად გამოყენება გამოყენება სამართლიანობას დაამკვიდრებს და იდეალურ მართლწესრიგს შექმნის?რა ტქმა უნდა არა ვინაიდან სამართლიანობას თანასწორობასთან ერთად,პროპორციულობაც აყალიბებს,რაც სამართლიანობას უფრო კონკრეტულს ხდის და პრაქტიკულად განხორციელებად კატეგორიად წარმოაჩენს.[57]

სისხლის სამართლის თეორიაში,სამართლიანობის აღდგენა როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი სხვაგვარად არის გაგებული.აბსოლუტური თეორიის მიხედვით სასჯელის მიზანი ნიშნავს სამართლიანობის აღდგენას.კანტი მიიჩნევს,რომ დანაშაული ზნეობრივი კანონის დარღვევაა და როგორც ასეთი იწვევს სასჯელის გამოყენებას.ყურადსაღებია ის ფაქტი,რომ კანტის თეორიაში სასჯელი ღებულობს პრიმიტიული მატერიალური ტალიონის ხასიათს.კანტი წერს,,იმ სიავეს, რასაც შენ მიაყენებ სხვას,თავის თავს აყენებო“[58]

აბსოლუტური თორიის მიმდევრები სასჯელის მიზანს სამაგიეროს მიზღვაში ხედავენ.ისინი თვლიან, რომ ადამიანს ვსჯით რადგან მან ჩაიდინა დანაშაული.

რა თქმა უნდა კანტს და მისი აზრის მიმდევრებს,რომლებიც მიიჩნევენ,რომ სასჯელი წარმოადგენს სამაგიეროს მიზღვას ვერ დავეთანხმებით ვინაიდან სასჯელი არ შეიძლება იყოს სამაგიეროს მიზღვის საშუალება უფრო მეტიც სასჯელის მიზანს უნდა წარმოადგენდეს დარღვეული სამართლიანობის აღდგენა.

---

[57] ი.დვალიძე.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შდეგები,გამომცემლობა მერიდიანი,თბილისი2013წ,გვ.25.

[58] ალ.ვაჩეიშვილი,სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი,თბილისი1960,გვ.29.

სისხლის სამართლის წესით დასჯა საჭირო მოქმედებაა საზოგადოებრივ-სოციალური სამართლიანობის აღსადგენად.სოციალური სამართლიანობა სხვადასხვა ხერხით მიიღწევა,რომელიც დამოკიდებულია ცალკეული დანაშაულებების ხარისხობრივ და რაოდენობრივ დახასიათებაზე.ქონებრივი ხასიათის სასჯელებს აქვთ შედარებით აშკარა აღდგენითი,ანაზღაურებადი ხასიათი.ისეთი დანაშაულის დროს სადაც დანაშაულის შედეგის ანაზღაურება ნაკლებად ხდება მაგალითად, მკვლელობა სასჯელი უფრო მკაცრია თავისუფლების აღკვეთა,ანუ აღდგენით ხასიათს გამოხატავს დამნაშავეზე მკაცრი სასჯელის დადება.[59]

აღდგენის ხასიათი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს:მიყენებული მატერიალური ზიანი უნდა აუნაზღაურდეს ეკვივალენტური თანხით,ან ქონების ჩამორთმევით.მიყენებული ფიზიკური ზიანი ან სიცოცხლის მოსპობა შეუძლებელია აღადგინოს უშუალოდ დამნაშავემ თუმცა მკურნალობის,დასაფლავების ხარჯების ფულადი კომპენსაცია სავსებით დასაშვებია.ხოლო სახელმწიფოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაცენით კმაყოფილდება დაზარალებულის ოჯახი და საზოგადოება.[60]

სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს დანაშაულის ჩადენით დაზიანებული სიკეთის აღდგენას ,ზიანის ანაზღაურებას და აგრეთვე სასჯელის დაკისრებას.[61]

მ.ქათამაძე მიუთითებს,რომ სასჯელი,როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება მიზნად სამართლიანობის აღდგენას ისახავს ანუ დარრვეულის აღდგენაში გამოიხატება.ეს ყოველივე კი უკავშირდება სისხლის სამართლის საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინს,,სამაგიეროს მიზღვას“ტერმინი ,,სამაგიეროს მიზღვა“ მაშინ იქნება გამართლებული თუ მას შევცვლით ,,სამართლიანი სამაგიეროს მიზღვით“ვინაიდან სამაგიეროს მიზღვა შიძლება რომლეიმე კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოც კი იყოს

[59] ზ.მჟავანაძე,ო.მინდაძე,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,ქუთაისი 2005,გვ.302.
[60] მ.ტურავა,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილის მიმოხილვა,მეცხრე გამოცემა,თბილისი,2013,გვ.486.
[61] ო.მინდაძე,გ.მინდაძე,სასჯელაღსრულებითი სამართალი,ქუთაისი,2008,გვ.108.

აქედან გამომდინარე ამიტომ სამართლიანი სამაგიეროს მიზღვა ობიექტურად და გამართლებულად ითვლება.[62]

პროფესორი გ.ნაჭყებია მიუთითებს,რომ უნდა განვასხვავოთ სამაგიეროს მიზღვა,რომელიც,ზოგჯერ თვითგასწორების აქტშიც ვლინდება და სამართლიანობა,რომლის ობიექტური კრიტერიუმი ჩადენილი დანაშაული და მისი ჩამდენი პირია.[63]

პროფესორი ი.დვალიძე სამართლიანობის აღდგენაზე მსჯელობს მართებულად,იგი წერს,რომ ,,სისხლის სამართალში სამართლიანობის აღდგენა თანაბარ პირობებში დაბრუნებასაც,მართლწესრიგში ბალანსის აღდგენასაც ნიშნავს.ამ ყველაფერს ისიც ადასტურებს,რომ დაუმსახურებელი სასჯელისშეფარდებისას პიროვნების რეაბილიტაცია ხდება,რადგან სასჯელი მთელი თავისი ბუნებით შემზღუდველია და თუ სამართლიანი სასჯელი მართლწესრიგის აღდგენას ემსახურება,უსამართლო სასჯელი მართლწესრიგს არღვევს.[64]

სამართლიანობის მრავალასპექტიანობის გამო,სისხლის სმართალს გარკვეული წვლილი შეაქვს დარღვეული სამართლიანობის აღდგენაში.სამართალი გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს აღადგენს და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი წინაპირობა მხოლოდ ნებელობითი მოქმედებაა სწორედ ამიტომ სამართლიანობის აღდგენის საჭიროება მაშინ წარმოიშობა,როდესაც ადამიანი თავისუფლებას ბოროტად გამოიყენებს.სასჯელი იმიტომ ინიშნება,რომ თავისუფლება ზღვარდადებულია და ადამიანმა მისთვის მინიჭებულ იმ ქცევის ფარგლებს გადააბიჯა,რაც საზოგადოების ყველა წევრისთვის საერთოა.საზოგადოების წევრებს თვითრეალიზაციისა და განვითარების თანაბარი შანსები აქვთ და ასევე თანაბარი სამართლიანი შანსების გამოყენების

---

[62] მ.ქათამაძე,სამართლიანობის აღდგენა,როგორც სასჯელის მიზანი,სამართალი,თბილისი,N11-12-13,2000,გვ.142.

[63] გ.ნაჭყებია,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,თბილისი,2011,გვ.103.

[64] ი.დვალიძე,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,თბილისი,2013,გვ.28.

მოლოდინი.ადამიანი,რომელიც ამ შანსებს გადააბიჯებს,ის სასჯელს დაიმსახურებს,ვინაიდან მან გადააბიჯა თანაბარი შანსების გამოყენებას მასზე უნდა მოხდეს შესაბამისი ზემოქმედება რითაც დაკმაყოფილდება საზოგადოების ინტერესები.[65]

სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს იმას,რომ პირს მიეზღოს მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული სასჯელი.სამართლიანობის აღდგენის მიზანი პირდაპირაა დაკავშირებული ქმედებისა და სასჯელის პროპორციულობასთან.პირი იღებს სასჯელს სწორედ აკრძალული ქმედების განხორციელების გამო.მნიშვნელოვანია,რომ სასჯელი ადეკვატური იყოს დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირისა.

სისხლის სამართლის დამნაშავის მიმართ მისი ბრალის შეუსაბამო მკაცრი სასჯელის გამოყენება ჩაითვლება სამართლიანობის დარღვევად.[66]

ამრიგად სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ,რომ მიუხედავად ბევრი განსხვავებული აზრისა სამართლიანობის აღდგენასთან მიმართებაში სამართალმცოდნეთა ძირითადი ნაწილი მაინც მიიჩნევს,რომ ეს გახლავთ ადეკვატური რეაქცია დამნაშავის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მიმართ რათა საზოგადოებში სამართლიანობის შეგრძნების განცდა არ დაიკარგოს.სამართლიანობის აღდგენა ხორციელდება სწორედ მაშინ, როდესაც ხორციელდება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი და შეესაბამებაა:მსჯავრდებულის პიროვნებას,მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, აგრეთვე დაზარალებულის ინტერესებს.

2.2.2 დამნაშავის რესოციალიზაცია

საქართველოს სისხლის სამართლს კანონმდებლობით დამნაშავის რესოციალიზაცია აღიარებულია,როგორც სასჯელის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.ამ კონკრეტული მიზნის მიღწევის გარეშე სისხლის სამართლის სასჯელს აზრი ეკარგება და იგი შესაძლებელია

---

[65] ი.დვალიძე,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები,თბილისი,2013,გვ.27-28.

[66] ლ.იზორია,კ.კორკელია,კ.კუბლაშვილი,გ.ხუბუა,საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები,ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი,თბილისი,2005,გვ.383.ჰ

სამაგიეროს მიზღვის ნაირსახეობადაც კი იქცეს.სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილში დაკონკრეტებულია ის ღონისძიებები,რომელთა გატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება სასჯელის ამ მიზნის(რესოციალიზაციის)მიღწევა,ანუ დამნაშავის გამოსწორება და საზოგადოებაში დაბრუნება.სსკ_ის 39-ე მუხლის მიხედვით,,სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა თუ სხვა პირზე ზემოქმედებით,რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.ბრალდებულზე ასეთი ზემოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (1960 წლის მდგომარეობით)სასჯელის რესოციალიზაციის მიზანი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული:განხილული იყო,რომ სასჯელი სხვა მიზნებთან ერთად გულისხმობს მსჯავრდებულის გამოსწორებას და ხელახალ აღზრდას შრომისადმი პატიოსან დამოკიდებულების,კანონთა ზუსტად შესრულების,საერთო წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.აღსანიშნავია,რომ ტერმინთა სხვაობის მიუხედავად რესოციალიზაცია თავის თავში გულისხმობს დამნაშავის გამოსწორებას.მასში შესაძლოა ვიგულისხმოთ,დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა,მისთვის ისეთი ჩვევისა ან/და შეხედულებათა დანერგვა,რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის სურვილს.ხოლო შემდეგ ეტაპად უკვე გამოსწორებული პირის სოციალურ გარემოში,საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორუფლებიან წევრად დაბრუნება.

მსჯავრდებულის რესოციალზაცია ხანგრძლივი პროცესია. იგი იწყება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მომენტიდან და გრძელდება სასჯელის მოხდის შემდეგაც კი.რესოციალიზაცია მთლიანად დამნაშავის პიროვნებაზეა მიმართული და უკავშირდება ისეთ საკითხებს,როგორიცაა საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელები,უვადო თავისუფლების აღკვეთა,სასჯელისაგან პირობით ვადამდე

გათავისუფლება და ა.შ.რესოციალიზაცია არ მოიცავს ერთ კონკრეტულ ასპექტს იგი სხვადასხვა ასპექტებისაგან შედგება.

ტერმინი რესოციალიზაცია ორი სიტყვის ,,რე"-ს და ,,სოციალიზაციის"შერწყმის შედეგად არის მიღებული.,,რე" არის თავსართი და ,,სოციალიზაცია" კი ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს:

1)ადამიანის საზოგადოების ნაწილად ქცევას,რომელსაც შეისწავლის რიგი მეცნიერებები(პედაგოგიკა,ფსიქოლოგია,ეთნოგრაფია და ა.შ);

2)ადამიანის ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის,ნორმების ფასეულობების სისტემის შეთვისების პროცესს,რაც საშუალებას აძლევს საზოგადოების სრულფასოვან წევრად იქცეს;მოიცავს,როგორც პიროვნებაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას(აღზრდა),ასევე სტიქიურ,სპონტანურ პროცესებს,რომლებიც გავლენას ახდენენ მის ფორმირებებზე. [67]

იმისათვის, რომ გავიგოთ რესოციალიზაციის ზუსტი დეფინიცია საჭიროა განვიხილოთ თუ რა არის თვითონ სოციალიზაცია.

სოციალიზაცია არის ცხოვრების მანძილზე მიმდინარე რთული პროცესი,რომლის საშუალებითაც ინდივიდს უყალიბდება მისი კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევები,სტანდარტები,ღირებულებები.[68]

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მჭიდრო კავშირშია მის მიერ განვლილ სოციალიზაციის პროცესთან.ხშირად რესოციალიზაციას პირველად ან შემცველ სოციალიზაციასაც ეძახიან.აღნიშნულით ყურადღება მახვილდება ადამიანის სოციალიზაციის პირობების პრობლემებზე,არასაკმარის სოციალიზაციაზე,რომელმაც შესაძლოა განაპირობა მისი დამნაშავედ ჩამოყალიბება.[69]

---

[67] უცხო სიტყვათა ლექსიკონი,გამომცემლობა,,მერიდიანი",თბ.,2007,გვ.748.
[68] ინტერპერსონალური კომუნიკაცია,რედ.ა.ქიტიაშვილი,ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი,2010.
[69] მ.შალიკაშვილი,მ.მიქანაძე,მ.ხასია,სასჯელაღსრულების სამართალი,თბ.,2014,გვ.75.

პროფ. მზია ლეკვეიშვილი მიუთითებს,რომ კანონმდებლობით განსაზღვრული რესოციალიზაციის ცნება სრულად და დამაჯერებლად ვერ ასახავს სასჯელის ამ მიზანს.ფაქტობრივად არ არის განმარტებული რესოციალიზაციის არსი.ცხადია,რომ რესოციალიზაციის მიზანია ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების წევრთა შორის თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება,მაგრამ ეს საბოლოო შედეგი გახლავთ.უპირველეს ყოვლისა,ამ შედეგის მისაღწევად სავალდებულოა მსჯავრდებულის გამოსწორება სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებით.[70]

პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი რესოციალიზაციის განმარტებისას მიუთითებს მსჯავრდებული პირის ზნეობის ნორმებისადმი პატივისცემაზე.ასეთი მიმართებით პატიმრობის კოდექსი ერთგავარად ადგენს მაღალ სტანდარტს მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან დაკავშირებით. ვთვლი,რომ სასჯელის მიზანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია მიღწეული იქნება მაშინაც,კი თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდგომ არღვევს ზნეობრივ ნორმებს მაგრამ მისი მხრიდან არ ფიქსირდება დანაშაულის რეციდივის ფაქტი.

აღნიშნულ საკითხთან მართებულად მსჯელობს პროფ. გ.ნაჭყებია.იგი წერს,რომ ,,სასჯელი,როგორც სახელმწიფო იძულების კანონიერი ფორმა,ზნეობრივად ვერ შეფასდება.ეს იმას ნიშნავს,რომ მსჯავრდებულის მორალური გამოსწორების მიზანი,როგორც ზნეობრივი მიზანი,შეუძლებელია მიღწეულ იქნას სახელმწიფო იძულების იმ უკიდურესი ზომით,როგორიცაა სასჯელი.მსჯავრდებულის ,,მორალური"გამოსწორების მიზნის საშუალებად სასჯელი ვერ ჩაითვლება.სასჯელი ,,მორალური" გამოსწორების მიზნის მიღწევის საშუალებად არ შიძლება ჩაითვალოს.თუ სასჯელს

[70] არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები,თბილისი,2011,გვ.54.

,,მორალური“გამოსწორების მიზანს დავუსახავთ,ხოლო ეს მიზანი სასჯელის აღსრულების პრაქტიკაში ვერ ხორციელდება,მაშინ სასჯელი არაეფექტიანად უნდა ჩაითვალოს.“[71]

გ.ტყეშელიაძე მიუთითებს,რომ მთავარია მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდგომ გათავისუფლდეს კრიმინოგენური თვისებებისაგან იმდენად,რომ მან მომავალში აღარ დაუსვას დანაშაულის რეციდივი.იმის მოთხოვნა, რომ იგი ზნეობრივად ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბდეს,რომ საერთოდ არ დაუშვას მორალური ნორმების დარღვევა არარეალურია.[72]

აღსანიშნავია,რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში რესოციალიზაციის სხვადასხვაგვარი განმარტება გვხვდება და რთულია ერთიანი კონკრეტული დეფინიციის ჩამოყალიბება.

რესოციალიზაციის ცნება არ არის განმარტებული საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.რესოციალიზაციის დეფინიციას ვხვდებით პატიმრობის კოდექსში.პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით,მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების,სხვა ადამიანების,ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ პატიმრობის კოდექსი აღიარებს რესოციალიზაციის საბოლოო შედეგს-პიროვნების დაბრუნებას სახელმწიფოსთან პოზიტიური პასუხისმგებლობის პოზიციაში,ხოლო პატიმრობის კოდექსის მეორე პუნქტი იძლევა ჩამონათვალს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ძირითად საშუალებათა შესახებ ესენია:

ა)სასჯელის მოხდა დადგენილი წესების შესაბამისად;

---

[71] გ.ნაჭყებია,მსჯავრდებულის ,,მორალური გამოსწორების“საკითხისათვის,სამართალი,1995,N3-4,გვ.42-43.

[72] გ.ტყეშელიაძე,სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ,სერგო ჯორბენაძე-70,საიუბილეო კრებული,თბილისი,1996,გვ.409.

ბ)სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება;

გ)აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ;

დ)მსჯავრდებულთა დასაქმება;

ე)ზოგადი,პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება;

ვ)საზოგადოებასთან ურთიერთობა.

პატიმრობის კოდექსის 116 მუხლის მე-3 პუნქტი კიმოცემულია შემდეგი სახით- მსჯავრდებულის რესოციალიზაციის საშუალებები გამოიყენება დანიშნული სასჯელის სახის,ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის,მსჯავრდებული პიროვნების,მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით.

პროფესორ მ.ლეკვეიშვილის აზრით,რომელიც ეხება რესოციალიზაციის არსის გაგებას,რესოციალიზაცია უნდა გავიგოთ,პირველ რიგში ,როგორც დამნაშავის ფსიქიკაში დანაშაულის ჩადენისადმი მიდრეკილების აღმოფხვრა,მისთვის ისეთი ჩვევისა თუ შეხედულებების შთაგონება,რომელიც გამორიცხავს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის სურვილს.იგი აღნიშნავს,რომ დანაშაულის ჩადენის სურვილის არარსებაბაში მდგომარეობს რესოციალიზაციის არსი და არა იმაში,რომ კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული სასჯელის მუქარით ან სხვა რაიმე მიზეზით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ დამნაშავის რესოციალიზაცია ფართო ცნებაა მოიცავს მრავალ ასპექტს და ერთ კონკრეტულ დეფინიციამდე ვერ მივალთ თუმცა ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ,რომ სისხლის სამართალში მსჯავრდებულის რესოციალიზაციაში იგულისხმება მსჯავრდებულის გამოსწორება,მისი გარდაქმნა, კანონის არ დამრღვევ მოქალაქედ ქცევა,საზოგადოებაში ინტეგრაცია.

2.2.3 ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.სისხლის სამართლის თეორიაში ახალი დანაშაულის თავიდან აცლებას პრევენციას უწოდებენ.

პრევენცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს რისიმე თავიდან ასაცილებლად წინასწარ ზომების მიღებას[73]

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენპრევენციის ორ სახეს:საერთოს,ანუ ზოგადს(გენერალური)და სპეციალურს,ანუ კერძოს.მართალია სსკ_ის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში,სადაც მოცემულია სასჯელის მიზანი ,,ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“,ზუსტად არ არის განსაზღვრული ზოგადი და სპეციალური პრევენცია,მაგრამ ამავე მუხლის მეორე ნაწილში მიტითებულია,რომ:,,სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით.აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ,რომ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, ანუ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში იგულისხმება ,როგორც ზოგადი ისე სპეციალური პრევენცია.

სასჯელის ზოგადი ანუ გენერალური პრევენცია მოიცავს ორ სახეს:პოზიტიური გენერალური პრევენცია და ნეგატიური გენერალური პრევენცია.ხოლო სასჯელის სპეციალურ,ანუ კერძო პრევენციაში ასევე გამოიყოფა ორი კომპონენტი:პოზიტიური სპეციალური პრევენცია და ნეგატიური სპეციალური პრევენცია.განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ა) სასჯელის ზოგადი (გენერალური) პრევენცია

[73] ქართული ორატორული ხელოვნება,ლექსიკონი,თბილისი,2000,გვ.159.

გენერალურ ანუ ზოგად პრევენციაზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება.ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს,რომ ეს მიზანი წარმოადგენს იმ პირთა მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას,რომელთა საქმიანობაც დანაშაულის ჩადენაზეა ორიენტირებული.მაგ. ვ.ზუბკოვას მიაჩნია,რომ სასჯელის ზოგადპრევენციული მიზანი ხორციელდება დაშინებისა და მსჯავრდებულზე სასჯელის დაკისრების საშუალებით,პრინციპით:,,დაე სხვებს ეშინოდეთ.“[74]

ცნობილი კრიმინალისტი ჩ.ბერკაია მიიჩნევს,რომ დანაშაულის თავიდან აცილების არსი გამოიხატება არა დანაშაულის სისასტიკეში არამედ მის გარდუვალობაში.იგი წერდა,,უკეთესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასჯა.“[75]

ზოგადი პრევენცია ხორციელდება არა მარტო იმ შემთხვევაში ,როდესაც კონკრეტული პირის მიმართ სასამართლო გამოიყენებს სასჯელს,არამედ თვით სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან.პროფ. გურამ ნაჭყებია მიიჩნევს,რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ყალიბდება დანაშაულთა თავიდან აცილების გამო სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა.[76]

სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის შემდგომ,კანონი გამაფრთხილებელ ფუნქციას ასრულებს.კანონის გამოქვეყნების ფაქტი დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მერყევ ელემენტებზე,რომ მათი მხრიდან გამოირიცხოს დანაშაულის ჩადენა.

მაშასადამე,ზოგადი პრევენცია იწყება სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან,როდესაც დამყარდება დანაშაულთა თავიდან ასაცილებლად სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის.

---

[74] მ.ქათამაძე,სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში,ალმახანი,#3,2004,გვ.55.
[75] ჩ.ბერკაია, ,,დანაშაულისა და სასჯელისათვის,ი.ხუცურაშვილის თარგმანი იტალიურიდან,თბ.,2003,გვ.124.
[76] გ.ნაჭყებია,სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება,თბილისი,2002.გვ.31.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-3 ნაწილში გამოხატულია ზოგადი პრევენციის შინაარსი:,,ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ სისხლის სამართლის კოდექსის მიზანია არა მხოლოდ დამნაშავის დასჯა,არამედ დანაშაულის თავიდან აცილებაც,რაც იმის დასტურია,რომ სისხლის სამართლის კანონი ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს.

სისხლის სამართლის კანონით ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად გამოცხადებას აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.ამით სისხლის სამართლის კანონი ზოგად გამაფრთხილებელ ამოცანას ასრულებს.მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ გაიგონ,რომ ზოგიერთ ქმედებას მართლწესრიგი განსაკუთრებით საშიშად თვლის და ამიტომ საზოგადოებამ ასეთი ქმედების მიმართ შეურიგებელი პოზიცია უნდა დაიკავოს,მერყევი ადამიანებისათვის დანაშაულისგან თავის შეკავების მძლავრ სტიმულს ის წარმოადგენს,რომ ქმედების აკრძალვა სასჯელის მუქარით არის განმტკიცებული.[77]

ბ) სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციის თეორია მიზნად ისახავს სამართლისადმი პატივისცემის მიღწევას და შენარჩუნებას და ამით ახდენს საზოგადოებაზე პოზიტიურ ზემოქმედებას.მას აქვს სოციალ-პედაგოგიურად მოტივირებული სასწავლო-

[77] გ.ნაჭყებია,ი.დვალიძე ავტორთა კოლექტივი,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სახელმძღვანელო,თბილისი,2007,გვ.355.

აღმზრდელობითი ეფექტი,რომელიც წარმოადგენს სამართალმორჩილების უნარის გამომუშავების პრაქტიკას.მიუხედავად დადებითი შინაარსისა იგი უყურადღებოდ ტოვებს დამნაშავის ინდივიდუალურ პიროვნებას.[78]

სასჯელის გენერალური პრევენცია პოზიტიურ და ნეგატიურ აპექტებად გვხვდება დაყოფილი გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში.

გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღიარებულია სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია.საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები გადაწყვეტილებაში უკანონო აბორტთან დაკავშირებით მიუთითებენ,რომ სისხლის სამართლის ამოცანა არის სამართლებრივი საზოგადოების ელემენტარული ღირებულებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვა.საკონსტიტუციო გადაწყვეტილებათა მიხედვით,ერთი მხრივ მოსახლეობის ღირებულებათა გაძლიერება,ხოლო მეორე მხრივ,დამნაშავეთა დასჯადი ქცევის ჩადენისაგან თავის შეკავება შეესაბამება პოზიტიურ გენერალურ პრევენციას.[79]

პოზიტიური გენერალური პრევენცია ცდილობს,რომ სამომავლოდ დადებითი გავლენა მოახდინოს და იგი არ არის ორიენტირებული ჩადენილ უმართლობაზე.

გერმანელი პროფესორი როქსინი აღნიშნავს,რომ სასჯელის ამოცანაა მართლწესრიგის დაცვა და მოსახლეობის მიერ სამართლის ერთგულების გაძლიერება.აღნიშნულს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღესღეობით,ვიდრე წმინდა სასჯელის დამაშინებელ ზემოქმედებას.სასჯელის პოზიტიურ გენერალურ პრევენციაში გამოიყოფა სამი განსხვავებული მიზანი:

1)სოციალურ-პედაგოგიური მოტივირებული სწავლების ეფექტი,სამართლის ერთგულების გაძლიერება;

2)ნდობის ეფექტი,როდესაც მოქალაქე ხედავს,რომ სამართლის რეალიზაცია ხდება;

---

[78] მ.ტურავა,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება,თბილისი,2011,გვ.44.
[79] ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნები,თბილისი,2016,გვ.66.

3) დაშოშმინების (დაწყნარების) ეფექტი,როდესაც დამნაშავესთან კონფლიქტი მოგვარებულია.[80]

სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენცია,განსხვავებით ნეგატიური გენერალური პრევენციისგან,მოქმედებს განსაზღვრულ პირთა წრეზე,რომელთა ქცევაზეც სასჯელმა გავლენა უნდა მოახდინოს.მაშინ,როდესაც დაშინება მიმართულია ინდივიდების მიმართ,რომლებსაც აქვთ წარმოდგენა დანაშაულის ჩადენის შესახებ,პოზიტიური გენერალური პრევენცია გამოდის იქიდან,რომ დასჯლი ადამიანების თქმით, ისინი ყოველთვის ნორმის ერთგულები არიან.[81]

სასჯელის პოზიტიურუ გენერალური პრევენციის იდეა გამოხატულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით,სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით,რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

გ) სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია

სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის თეორია უკავშირდება გერმანელი კრიმინალისტის ანსელმ ფოიერბახის სახელს(ფსიქოლოგიური იძულების თეორია).

[80] ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნები,თბილისი,2016,გვ.68.
[81] ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნები,თბილისი,2016,გვ.70.

ფსიქოლოგიური იძულების თეორია სასჯელს მიზნად უსახავს საზოგადოების დაშინებას.სასჯელის მუქარა,სასჯელის შეფარდება და სასჯელის აღსრულება საზოგადოებაში უნდა ნერგავდეს შიშს,რომ ფსიქოლოგიური იძულების ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ დანაშაული არ ჩაიდინოს.ჰეგელი აკრიტიკებდა ფოიერბახის გენერალური პრევენციის თეორიას,რადგან მიიჩნევდა,რომ იგი ადამიანს ისე ეპყრობა,რომ ძაღლის დასაშინებლად თითქოს ჯოხს იქნევდა.[82]

გერმანელი პროფესორი მაიერი აღნიშნავს,რომ სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენციის გავლენა საზოგადოებაზე ხორციელდება:

1)სასჯელის მუქარით;

2)სასჯელის შეფარდებით;

3)სასჯელის აღსრულებით.[83]

დანაშაულის ზოგადი გაფრთხილება მიიღწევა საზოგადოდ საშიშ ქმედებისათვის სასჯელის გამოყენების მუქარის გზით.იგი გამყარდება საზოგადოების თვალში,თუ სასჯელი გამოყენებულ იქნება დამნაშავის მიმართ,ეს დამნაშავეებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მოახდენს და აიძულებს დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილ პირებს თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან,რადგან ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა გარდაუვალი იქნება.

გამოჩენილი იტალიელი სოციოლოგი ე.ფერმი აღნიშნავს,რომ სასჯელის საფრთხე ეფექტური საერთოდ არაა და დანაშაულის გაფრთხილება არ შეუძლია.ასეთი მტკიცება რა თქმა უნდა,სრულიად უსაფუძვლოა,რადგან არსებობს პირთა წრე,რომლებიც დანაშაულს არ ჩადიან იმიტომ, რომ სასჯელის ეშინიათ.საკმარისია დავსვათ კითხვა

[82] მ.ტურავა,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბილისი,2011,გვ.45.
[83] ი.ვარძელაშვილი,სასჯელის მიზნები,თბილისი,2016,გვ.72.

გაიძრდება თუ არა დანაშაულთა რიცხვი თუ სისხლისსამართლებრივ ნორმებს გავაუქმებთ?ცხადი გახდება,რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულთა რიცხვი გაიზრდება.[84]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას,რომ სასჯელს უმეტეს შემთხვევაში დამაშინებელი ეფექტი გააჩნია.სასჯელის ნეგატიური გენერალური პრევენცია მოქმედებს არა საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, არამედ საზოგადოებაში მყოფ,,მერყევ"პირებზე,როგორც კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან ,ისე სასამართლოს მიერ კონკრეტული პირისათვის სასჯელის დანიშვნით და მისი აღსრულებით.

დ) სასჯელის სპეციალური (კერძო) პრევენცია

სასჯელის სპეციალური პრევენცია გულისხმობს დანაშაულის თავიდან აცილებას კონკრეტული მსჯავრდებულის მხრიდან.სასჯელის დანიშვნისა და მოხდის შემდეგ მსჯავრედბულს აღარ უნდა ჰქონდეს ხელმეორედ დანაშაულის ჩადენის სურვილი.

კერძო პრევენციის მიზანი მიიღწევა მსჯავრდებულზე სასჯელის ისეთი ძემოქმედებით,რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული.ეს ყველაფერი კი მიიღწევა მხოლოდდამხოლოდ მსჯავრდებულის გამოსწორების გზით,რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში უნდა განხორციელდეს.მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის აცილება შესაძლებელია, მაგ.სასამართლოს მიერ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა,როცა მსჯავრდებული ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას ან პროფესის დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად.[85]

კერძო პრევენცია განსხვავებით ზოგადი პრევენციისგან ხორციელდება მხოლოდ მსჯავრდებულის მიმართ,როგორც სასჯელის დანიშვნის, ისე სასჯელის აღსრულების პროცესში.

---

[84] ზ.კორძაძე,სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება,ალმანახი#8,1998.

[85] მ.ქათამაძე,სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში,ალმანახი,#3,2004,გვ.55.

სისხლის სამართლის თეორიაში მითითებულია,რომ სასჯელის მიზანი-ახალი დანაშაულის თავიდან აცილება,საპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში გამოიხატება დამნაშავე პიროვნების საზოგადოებისაგან იზოლაციაში,რათა მის მიმართ დაზარალებულმა მხარემ შურისგების მიზნით არ მოახდინოს რაიმეს ხელყოფა,ან მისი მხრიდან გამოირიცხოს ახალი დანაშაულის ჩადენა.არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ფაქტორი გამორიცხულია.[86]აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით იქიდან გამომდინარე,რომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება მოცავს,როგორც ზოგად ისე სპეციალურ პრევენციას.

ზოგადი და სპეციალური პრევენცია საკმაოდ მჭიდროს არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ემსახურებიან საერთო მიზანს-დანაშაულის თავიდან აცილებას.რა თქმა უნდა,დანაშაულთან საბრძოლველად ყველაზე კარგი საშუალებაა,მისი საერთოს თავიდან აცილება,ამიტომაც სისხლის სამართალში უდიდესი ადგილი უკავია სასჯელის ამ მიზანს.

სასჯელის სპეციალურ პრევენციაში გამიყოფა:

1)სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია;

2)სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია.

ე)სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია

სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია მიმართულია კონკრეტულ დამნაშავეზე,რომელსაც სასამართლომ დაუნიშნა სასჯელი.

სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია გულისხმობს მსჯავრდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას მისი რესოციალიზაციის გზით.

[86] პ.დაუთაშვილი,ალ.კვაშილავა,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,თბილისი,2003,გვ.127.

მ.ტურავა წერს:,,პოზიტიური სპეციალური პრევენცია მიზნად ისახავს რესოციალიზაციის გზით ისეთი დამნაშავის ისევ საზოგადოებაში დაბრუნებას,რომლის გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია“.[87]

სასჯელის პოზიტიურ სპეციალურ პრევენციას აღიარებს საქართველოს სიხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი,რომლის მიხედვითაც,სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულზედა სხვა პირებზე ზემოქმედებით,რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.აღნიშნულ მუხლში გამოხატული როგორც სასჯელის პოზიტიური გენერალური პრევენციაა,ისე სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევენცია.

პოზიტიური სპეციალური პრევენციის დროს სასჯელის მიზანის დამნაშავის რესოციალიზაცია,რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს,როგორც მისი სრულფასოვანი წევრი.პოზიტიური სპეციალური პრევენციით დამნაშავის რესოციალიზაცია უნდა მოხდეს ისეთი ღონისძიებებით,რომელთა მიზანი იქნება დამნაშავის პიროვნულ განვითარებაში არსებული პრობლემების და სოციალიზაციის ნაკლებობის გამოსწორება.[88]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,სასჯელის პოზიტიური სპეციალური პრევანცია უკავშირდება სასჯელის ისეთ მნიშვნელოვან მიზანს,როგორიცაა მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

ვ) სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია

[87] მ.ტურავა,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბილისი,2011,გვ.44
[88] მ.შალიკაშვილი,კრიმინოლოგია,თბილისი,2011,გვ.225.

სასჯელის ნეგატიური სპეციალური პრევენცია ძირითადად ორიენტირებულია მსჯავრდებულის დაშინებაზე.სასჯელი დამაშინებელ ეფექტს ახდენს იმ პირებზე,რომლებიც სასამართლოს მიერ არიან მსჯავრდებულები.

ნეგატიური სპეციალური პრევენციის თეორიის მიხედვით,საზოგადოება დაცული უნდა იქნეს დამნაშავის ხანგრძლივი დროით საზოგადოებისაგან იზოლაციის გზით.რათა მოხდეს მის მიერ შემდგომში ახალი დანაშაულის აღკვეთა.[89]

ნეგატიური სპეციალური პრევენციისათვის სასჯელის მიზანია დამნაშავის შეშინება,რათა მან მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული.გარდა ამ ყოველივესი მისი მიზანია საზოგადოების დაცვა ახალი დანაშაულის ჩადენისაგან,ამიტომ დამნაშავის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და დამნაშავის პიროვნებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური.[90]

სასჯელის რეალური აღსრულება დამნაშავეში ქმნის შიშს,რომ თუ იგი ამ ქმედებას გაიმეორებს,დაისჯება.მოზარდსბ უფრონ ადვილად შეუძლია სხვისი დასჯის მაგალითიდან დასკვნის გამოტანა.მაგრამ საკუთარ თავზე განცდილი უფრო მწარედ დასამახსოვრებელია .სასჯელის სიმკაცრემ დამნაშავე ქმედების განმეორებისგან რომ შეიკავოს,დამნაშავის ცნობიერებაში უნდა გადასწონოს დანაშაულისაგან მიღებული სარგებელი.უტილიტარიზმის წარმომადგენელი დანაშაულის რეციდივისათვის უფრო მკაცრ სასჯელს ხსნის იმით,რომ პირველმა სასჯელმა,კერძო პრევენციის თვალსაზრისით,თავისი არაეფექტურობა დაამტკიცა.[91]

აღნიშნულიდან გამომდინარე,სასჯელის პოზიტიურ სპეციალურ პრევენციას უპირატესობა ენიჭება სასჯელის ნეგატიურ სპეციალურ პრევენციასთან შედარებით.

---

[89] მ.ტურავა,სისხლის სამართალი,ზოგადი ნაწილი,დანაშაულის მოძღვრება,თბილისი,2011,გვ.44.
[90] მ.შალიკაშვილი,კრიმინოლოგია,თბილისი,2011,გვ.226.
[91] კ.წიქარიშვილი,სასჯელი,ალმანახი.

კვლევის შედეგი

სასჯელის მიზნების კვლევისას დადგინდა,რომ საქართველოს კანონმდებლობა იზიარებს საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტებს.სასჯელის მიზნების გამოკვლევისას,პირველ რიგში საჭირო გახდა შეგვესწავლა მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია.შემდეგ კი ყურადღება გაგვემახვილებინა და გამოგვეყო სასჯელის სახეები,ცნება და მიზნები.ამის შედეგად დადგინდა,რომ სასჯელი უძველესი დროიდან მოდის ჯერ კიდევ იქიდან,როდესაც ნივთებს და საგნებს ასამართლებდნენ.

კვლევებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ და ჩამოვაყალიბოთ სასჯელის ცნება.სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება,რომელიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ,დანაშაულის ჩადენისათვის,სასამართლოს მიერ,სახელმწიფოს სახელით და დაკავშირებულია დანაშაულის ჩამდენი პირისთვის კანონოთ მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან.

აგრეთვე კვლევის შედეგად დადგინდა,რომ დროთა განმავლობაში იცვლებოდა შეხედულება სასჯელის მთავარი მიზნის მიმართ.თუ უძველეს დროში ადამიანები სასჯელს „სამაგიეროს მიზღვად“ ხედავდნენ,შემდეგ ამასთან ერთად სასჯელის მიზანს დამნაშავის გამოსწორება და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება წარმოადგენდა.

აღნიშნული კვლევებიდან გამოიკვეთა,რომ სასჯელის მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ დამნაშავის დასჯა და მისთვის სამაგიეროს მიზღვა,არამედ უფრო მნიშვნელოვანი როლი აკისრია რაც გულისხმობს სამართლიანობის აღდგენას,ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას.

კვლევებიდან ჩანს, რომ უცხოელი და ქართველი მეცნიერებიც ერთხმად აღიარებენ,რომ სასჯელის მიზანს შეიძლება არ შეიძლება წარმოადგენდეს დამნაშავისათვის სამაგიეროს მიზღვა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასჯელის მიზანი უმნიშვნელოვანესი თემაა, როგორც ქართულ კანონმდებლობაში ისე უცხოურში.ვინაიდან სასჯელის გარეშე ვერ შეებრძოლები დანაშაულს.სწორად მიჩნეულ სასჯელს შეუძლია შეამციროს დანაშაული.

დასკვნა

მოცემული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ძველ ქართულ სმართალში სასჯელის ძირითად მიზნად იყო მიჩნეული სამაგიეროს მიზღვა, მაგრამ ცნობილია, რომ სასჯელს ხანდახან პრევენციული მნიშვნელობაც ჰქონდა, და ის მეტადრე ჰუმანურიც იყო. მაგალითად, XI-XII საუკუნეებში, იმ დროს არ გამოიყენებოდა არც დამასახიჩრებელი სასჯელები და არც სიკვდილით დასჯა. აგრეთვე საბჭოთა სისხლის სამართალიც მიზნად ისახავდა სამაგიეროს მიზღვას, დამნაშავის გამოსწორებასა და დანაშაულის თავიდან აცილებასთან ერთად. რაც შეეხება სასჯელის მიზნებისა და მისი ცნების გაიგივების პრობლემას სისხლის სამართლის თეორიაში. სასჯელის მიზანია ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევაც სურს კანონმდებელს სასჯელის დაწესებით და სასამართლოს სასჯელის დანიშვით. რაც შეეხება დასჯას, რომელსაც მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს სასჯელის მიზნად, იგი სასჯელის მიზანი კი არაა, არამედ სასჯელის ნიშანია. დასჯა ვერ იქნება სასჯელის მიზანი, რადგან სასჯელის მიზანი მიმართულია მომავლისკენ დამნაშავე ისჯება იმიტომ, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა, ანუ მიღწეულ იქნეს სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა. შესაბამისად, დასჯა ვერ იქნება ერთდროულად სასჯელის ნიშანიც და მიზანიც, ასე რომ, დასჯა არის სასჯელის ნიშანი და არასწორია მისი როგორც სასჯელის მიზნად მოთავსება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ჩამოთვლილი სასჯელის ნიშნების განხილვის შემდეგ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სასჯელის ცნება. სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება,

რომელიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ, დანაშაულის ჩადენისათვის, სასამართლოს მიერ, სახელმწიფოს სახელით და დაკავშირებულია დანაშაულის ჩამდენი პირისათვის კანონით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან, იწვევს მსჯავრდებულში მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, მისი ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას და ნასამართლეობას.

აგრეთვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროთა განმავლობაში იცვლებოდა შეხედულება სასჯელის მთავარი მიზნის მიმართ. თუ უძველეს დროში ადამიანები სასჯელს ''სამაგიეროს მიზღვად'' ხედავდნენ, შემდეგ, ამასთან ერთად, სასჯელის მიზანს დამნაშავის გამოსწორება და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება წარმოადგენდა. დღეს დღეობით კი ქართულ კანონმდებლობას სასჯელის სამი მთავარი მიზანი აქვს: სამართლიანობის აღდგენა, დამნაშავის რესოციალიზაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა სამართლიანობის აღდგენასთან მიმართებაში, სამართალმცოდნეთა ძირითადი ნაწილი მაინც მიიჩნევს, რომ ეს არის უბრალოდ ადეკვატური რეაქცია დამნაშავის კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე და საზოგადოებაში სამართლიანობის შეგრძნების განცდა. ვფიქრობთ, რომ სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, განხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი შეესაბამება: მსჯავრდებულის პიროვნებას; მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს; დაზარალებულის ინტერესებს.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით კი აზრთა სხვადასხვაობა გვხვდება სხვადასხვა ლიტერატურაში. თუმცა ავტორთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ დანაშაულის პრევენცია დაშინების ეფექტით არ უნდა ხდებოდეს და დანაშაულის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების წევრთა აღზრდა მათში პოზიტიური მორალის, რწმენისა და შეხედულებების გამომუშავების მიმართულებით. ჩემი აზრით, დანაშაულის პრევენცია სასტიკი მოპყრობის გზაზე არ უნდა გადიოდეს და კონკრეტულ ინდივიდების საშუალებით არ უნდა ხდებოდეს სხვათა (პოტენციურ დამნაშავეთა) დაშინება.

რაც შეეხება სასჯელის მესამე მიზანს- რესოციალიზაციას, ვფიქრობ აღნიშნული საკითხი საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ქართული საზოგადოებისათვის და ზოგადად საქართველოსათვის. რესოციალიზაცია ითვალისწინებს მსჯავრდებულის გამოსწორებას, მისი მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლლებასა და სოციუმში ჯანსაღ ინტეგრაციას, როგორც ''არასახიფათო ელემენტი'' საზოგადოებისთვის.

ამგვარად, სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნები, რომლებიც სისხლის სამართლის კანონში ამომწურავად არის ფორმულირებული, არ შეიძლება ერთმანეთისაგან მოწყვეტით განიხილებოდეს, რადგან ისინი ერთმანეთთან მჭიდრო ჯავშირში არის. თეორიულ ან პრაქტიკულ სიბრტყეზე, მათი ინდივიდუალური განხილვა-გაანალიზება სასჯელს, როგორც უკიდურეს სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას, თავის აზრს უკარგავს. სასჯელი თავის ფუნქციას ამომწურავად მხოლოდ სამივე მიზნის მიღწევის შემდეგ ასრულებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 2019.

2. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა,გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016.

3. ვ.მეტრეველი,საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია,თბილისი,2003.

4 .ი.დვალიძე,სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2013.

5. გ.ხუბუა,სამართლის თეორია, თბილისი, 2004.

6. მ.ტურავა,სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრებ გამოცემა, თბილისი, 2013.

7. გ.ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

8. ლ.იზორია, კ.კორკელია, კ.კუბლაშვილი, გ. ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005.

9. ო. მინდაძე, გ. მინდაძე, სასჯელაღსრულებითი სამართალი, ქუთაისი, 2008.

10. ალ.ვაჩეიშვილი, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბილისი, 1960.

11. ზ. მუავანაძე, ო.მინდაძე, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ქუთაისი, 2005.

12. მ. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014.

13. გ. ნაჭყებია, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი, 2002.

14. გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2007.

15. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011.

16. პ. დაუთაშვილი, ალ. კვაშილავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2003.

17. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, თბილისი, 2011.

18. კ. წიქარიშვილი, სასჯელი, ალმანახი.

19. გ. ნაჭყებია, მსჯავრდებულის, ,,მორალური გამოსწორების“ საკითხისათვის, სამართალი, 1995.

20. ჩ. ბერკაია, ,,დანაშაულისა და სასჯელისათვის, ი. ხუცურაშვილის თარგმანი იტალიურიდან, თბილისი, 2003.

21. ინტერპერსონალური კომუნიკაცია, რედ. ა. ქიტიაშვილი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2010.

22. ი.ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016.

23. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011.

24. გ. ტყეშელაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ, სერგო ჯორბენაძე-70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996.

25. ზ. კორძაძე, სასჯელის მოტივაციური ზემოქმედება, ალმანახი #8, 1998.

26. მ. ქათამაძე, სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ალმანახი, N3, 2004.

27. მ. ქათამაძე, სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, სამართალი, თბილისი, N11-12-13, 2000.

28. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2007.

29. ქართული ორატორული ხელოვნება, ლექსიკონი, თბილისი, 2000.

30. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, თბილისი, 2012.

31. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საკუთრების უფლება საქართველოში, თბილისი, 2007.

32. H.Jeschcheck, Lehrbuch des strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1998.

33. მართლმსაჯულება და კანონიhttp://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2014w-n4.pdf

34. https://geolaw.wordpress.com/2013/02/03/sasjelis-cneba-da-miznebi/

35. https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=205